

K 61.543  
2

სასალვარებლო დარიგება

ენცუტპრემიაზე.

ძეგლი ნაფიქ ჩიხლაძისაგან.



КУТАИСЬ  
Типографія редакції журналу «Пастырь».  
1894

“ଅନ୍ଧରେଶୀ”-ର ରୂପାଜ୍ୟଫୁଲିର ଗୀତାବ୍ୟୋମିତା.



ସାମାଜିକ ପାତ୍ରମହାକାବ୍ୟ

ବେଶ୍ୱରପାତ୍ରମହାକାବ୍ୟ.

ଶ୍ରୀରାଧାନନ୍ଦନ ରାଜୁଙ୍କ ବିନ୍ଦୁମହିଳାଙ୍କାରୀ.



ଶ୍ରୀରାଧାନନ୍ଦନ  
“ଅନ୍ଧରେଶୀ”-ର ରୂପାଜ୍ୟଫୁଲିର  
1894



086800686888

Дозволено цензурою. г. Тифлисъ 20 Августа, 1894 года.

## ස අ ර න න ම ම න .

ඔබගේ

	පිටත
1) රිසිගාන ඡේසලදුගේබා ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු නායාරිය	1
මොන්සාරිය	5
මුෂ්‍රා ගුණුම්ප්‍රකාරි	5
යාන්සාර්ථමේන්දුලි දාධිනිස දාසාස්ථාවලි නායාරි දැන්ද	8
යුතු	9
ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු ගාර්ඥාලුවකා	11
ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු තැවත්තාවෝ	12
තැවත්තාව තැවත්තාව දායුව ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු යාග්‍රානි	13
කුරුදුවකා ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු	14
ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු	16
ගැඹුවකානි ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු	—
සාක්ෂිදු ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු	17
තැවත්තාව දී ඇතුළු	19
එක්‍රියානි ඡේනික්‍රාන්ස දී ඇතුළු මුෂ්‍රා දී ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු	20
උගාධමුණුවකා ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු	23
මුදායා	—
ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු	26
ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු	28
ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු, මුදායා, මුදායා	29
මුදායා දී ඇතුළු	30
මුදායා	31
ගුණුම්ප්‍රකාශ දී ඇතුළු	—

ප්‍රජාත්‍යාමාන්‍ය ප්‍රජාත්‍යාම්‍ය  
 ප්‍රජාත්‍යාම්‍ය ප්‍රජාත්‍යාම්‍ය  
 ප්‍රජාත්‍යාම්‍ය ප්‍රජාත්‍යාම්‍ය

 K 61/543  
 2

«დღეს ამერიკელებს შეირთებულ შტატებში ჰავასთ 300,000 (სამასი ათასი) მეფუტკრები, რომლებმორის მრავალი სცხოვრებენ მხოლოდ მეფუტკრეობით».

«ამდენი მეფუტკრებისათვის, არ არის გასაყიდვალი, რომ ამერიკაში მრავალი ქარხანა იყოს გამართული სკეპისა და ჩარჩოების საკეთებლად. მათ შორის შესანიშნავია — რუტისა. რუტის ქარხანაში კველაფერი ორთქლის მანქანის საშვალებით კეთდება, სადაც ას ორზოცდა ათი კაცი მუშაობს დღეში».

ამათზე ჩენ ძალიან შორის ესდგევართ, მაგრამ გული არ უნდა გავიტეხოთ და ამ ბოლო დროს მაინც გამოვრდებოთ. სულ არარაობას ცოტა სჯობიაო, ნათქვამია; თუ ბევრს ვერ შევიძლებთ, ცოტად მაინც წაებაძოთ დაწინაურებულ ხალხთ.

ამ წიგნის შედეგენის მიზანი იყო მიგვეცა მსურველთათვის რამოდენიმე დარიგება მეფუტკრეობისა. შეცდომებზე, იმედია, ძალიან არ გავრაჯავრდებიან და გავრამხნევებენ უფრო დაკირცებით მოვიქცეთ. ამ საგნის აღება გავაზეოვანა ჩენ გარდა ჩენი გამოკლილებისა სახელოვანი მეფუტკრების — ბერლეპშია, გრავენგორსტის, ბუტლეროვის, გლაზენაპის, ზუბარიოვის, დზერჯონის, ლაიანისის, დადანის, კოვანის, პოტებინის და ანუჩინის სწავლამ და განოცილებამ. ამასთან, არ შევიძლია დავივიწყოთ ქუთაისელი მეფუტკრე მიხეილ მარიშვი, რომლისაგან ჩენ მეფუტკრეობაში ბევრი რამ შევიძინეთ.

რ. ჩიხლაძე.

## შეცდომათა გასწორება.

გვერ.	ცტრ.	დაბეჭილება	უნდა იყოს.
4	20	უვარგისი,	უვარგისი.
4	25	მონაცარი.	მონაცარი,
7	9	ახლებს	ფიჭებს
7	9	(ხნიურნი)	(ხნიერნი)
7	24-25	გაგადარჩება	გადაურჩება
12	14	თაფლით საესე	თაფლით საესეს
15	18	ქურდობენ.	ქურდეენ.
15	21	და თუ ქურდები	ქურდები.
16	1	დამოხდურები	დამხდურები
20	10	(სარაჭება კერენს)	(სარაჭებს) აკერენ
20	19	ცივ შენობიან	თფილ შენობიან
25	18	სუნიც	სენიც
29	7	უმთავრესი	უმთავრეს
31	4	დაიჭრს	და იჭრს
33	24	ჩარჩოები	ფიჭები
35	16	წახდემა	წახდება
36	10	კედლებზე,	კედლებზე.
37	21	ფიჭადა	ფიჭა და
38	5	ციჭებს	ფიჭებს

ପର୍ଯ୍ୟାନ.	ଟ୍ରେନ.	ଲାଙ୍ଘକଣ୍ଠିଲୋକ	ସଂଦା ଗ୍ୟାନ୍.
38	6	ମନ୍ଦାରାରୀ ରୁକ୍ଷିଲୋକ,	ମନ୍ଦାରାରୀ, ରୁକ୍ଷିଲୋକ
38	22	ଗନ୍ଧପିମାନିଳି	ଗନ୍ଧପିମାନିଳି
39	23	ଫିକ୍ସ	ଫିକ୍ସ
39	24	ଲାଙ୍ଘମାଞ୍ଜେଇପ୍ରା,	ଲାଙ୍ଘମାଞ୍ଜେଇପ୍ରା,
46	2	ତାଏଇ ଲା ମୁହାଞ୍ଜେ	ତାଏଇଲି ମୁହାଞ୍ଜେ
52	22	ଫିକ୍ସିଲି ନାୟରିତ	ଫିକ୍ସିଲି ନାୟରିତ
58	21	ହାରହିନୀବାନି ସ୍କିଲଙ୍ଗାନ	ହାରହିନୀବାନ ରାତ୍ରି ସ୍କିଲଙ୍ଗାନ
59	6	ଲେଇଲୋକି ମିଲ୍ଲିମା	ଲେଇଲୋକ ମିଲ୍ଲିମା
59	7	ଶୁଦ୍ଧେଲୋଲ	ରାମ ଶୁଦ୍ଧେଲୋଲ
62	16	ଶ୍ରେଷ୍ଠମଲ୍ଲଗ୍ନମିଲିଶାତର୍ଗୀଲି	ଶ୍ରେଷ୍ଠମଲ୍ଲଗ୍ନମିଲିଶାତର୍ଗୀଲି
64	1	ମନ୍ଦାରୀରିଲି	ମନ୍ଦାରୀରିଲି
68	2	ନାୟରିଲିବାଲ	ନାୟରିଲିବାଲ
69	10-11	ବାଲାକେବିଲା ଲା ମନ୍ଦିରେଖି ଟେଲିଲିଲି	ବାଲାକେବିଲା.
72	9	ଗାମିକୁରିଲୋକ	ଗାମିକୁରିଲୋକ

## რისაგან შესდგება ფუტკრის გუნდი ანუ ნაერი?

ფუტკრის ნაყარს შეაღენს დედო, მონაცარნი  
(მამალი ფუტკრები) და მუშა ფუტკრები.

### დ ე დ ო.

დედო განიჩევა მონაცარისა და მუშა ფუტკრი-  
საგან მეტად წვერიანი, ვიწრო და გრძელი ტანით,  
აყრეთვე მოგრძო ფეხებით. ის თითქმის ერთი ორად  
მეტია დანარჩენ ფუტკრებზე. ფრთები ტანის შედა-  
რებით მოკლე აქვს, ფერად შავია, უფრო ხშირად  
ყვითელი, კვემოდამ აქვს წითელი სატრუქულები. მთე-  
ლი ტანი უბრჭყვინავს. როგორც ერთად ერთი,  
სრულიად დასრულებული (დამთავრებული) დედალი  
ფუტკარი, მხოლოდ მარტო ის სდებს კვერცხებს  
სკაში. მას უფრო მოლუნული ისარი (საკენი იარალი)  
აქვს, ვინემ მუშა ფუტკრებს და ხმარობს მას მხო-  
ლოდ თავისავე დების—დედოების წინააღმდეგ. ყრის  
დროს ფუტკრები არ მიუშვებენ ერთმანეთზედ, თო-  
რემ მაშინვე მოკლავს ღონიერი დედო უფრო სუსტს  
და ახალგაზდას. თვით ბუდეც (სადედოვე), რომელ-

შიაც ის იზრდება, განსხვავდება ფორმით, სიდიდით  
 და მდებარეობით იმ ბუდეებისაგან, რომლებშიაც  
 იზრდება მონაცარი და მუშა ფუტკარი. სადელოვე,  
 როგორც ფორმით, აგრეთვე სიდიდით ძლიერ წაგავს  
 მუხის ჩავალმა ფიჭის ძირა  
 ნაწილებზე ანუ გვერდებზე.

სადელოვები არიან ბუნებითი და შემთხვევითი.  
 პირველს აკეთებენ ფუტკრები, როდესაც ჰუიქრობენ  
 ყრას (გაყოფას), და ყოველთვის განაპირა ადგილას,  
 მეორეს — უეცარ დაობლების ღროს. პირველ შემთხ-  
 ვევაში მუშა ფუტკრები დედოს უმზადებენ ბუდეს და  
 ადებინებენ შიგ კვერცხს ახალი დედოსათვის. მეორე  
 შემთხვევაში კი სადელოვებს აკეთებენ, საღაც კვერ-  
 ცხებია, ანუ ბარტყები. ამისთანა შემთხვევაში ფუტ-  
 კრებს შეუძლიანთ გამოიყვანონ ახალი დედო თვა-  
 თეული ფუტკრის კვერცხისაგან, მაგრამ თუ კვერცხი  
 აღარ არის — ბარტყებიდამაც, მხოლოდ იგინი არ  
 უნდა იყვნენ სამ დღეზედ მეტი. წინააღმდეგ შემთხ-  
 ვევაში დედო იქნება პატარა, უსრული და ნაკლე-  
 ბად ნაყოფირა. კვერცხების, ანუ ბარტყების ამორ-  
 ჩევის შემდეგ დედოს გამოსაყვანად მათ გარშემო  
 სპობენ სხვა ბუდეებს; მას კი აფართოებენ და აღი-  
 დებენ. შემდეგ დაუწეუბენ კვებას სადელოვე მატლს  
 (ბარტყს) სხვანარი საჭმელით (რძის მსგავსია), რომ-  
 ლის საშუალებით მას უსრულდება სანაშენო ასოები.  
 ამ სახით უპარალო ფუტკრას ბარტყი იქცევა დედოთ.

თვითეული კვერცხიდგან მესამე დღეს იჩეკება მატლი,  
 რომელიც უხვად იკვებება ექვსი დღის განმავლობაში.  
 მეცხრე დღეს კვერცხის დადებილგან ბარტყიან ბუღებს  
 ფუტკრები თავს ულესვენ სანთლით; მეთექვსმეტე  
 დღეს ამისთანა ბუღიდგან გამოსჭრის და გამოძრება  
 სრულიად დასრულებული დედო, თუ რაიმე მიზეზმა  
 მისი გამოსვლა არ შეაჩერა რამოდენიმე დღეს.

რადგანაც ერთ სკაში ორის, ანუ რამოდენიმე  
 დედოს ერთად ცხოვრება არ შეიძლება, ამისათვის  
 თვითეული ახალგაზდა დასრულებული, მაგრამ ჯე-  
 რეთ კიდევ თავის ბუღიდგან გამოუსვლელი დედო  
 ძალიან გაბრთხილებულია და სანამ ბუღეს მიატო-  
 ვებდეს, სკალობს „კვა, კვა, კვაის“ ძახილით  
 გაიგოს, სხვა დედო ხომ არ არის სკაშიო. როდე-  
 საც არაეითარ პასუხს არ მიიღებს, ის სჭრის სარაჭის  
 ბუღის სახურავს და ძერება იქიდგან. მაგრამ თუ იმის  
 კითხვითი ხმებზე მოისმა «ტიუ, ტიუ, ტიუ» სკაში  
 მყოფი დედოსაგან, ის გაიკეთებს სახურავში პატარა  
 ჭუჭუტანას, რომ იქიდგან ფუტკრებმა საჭმელი აძ-  
 ლიოს და იცდის იმ დრომზე, სანამ ძერელი დედო  
 არ გაიყოლიებს თავის მომხრე ფუტკრებს და არ  
 გავა სკიდგან ნაყარით.

თუ რაიმე მიზეზისა გამო ფუტკრებმა გადაკე-  
 თეს ყრა, იმ შემთხვევაში იანი აძლევენ სკაში მყოფ  
 დედოს ნებას, რომ გამოსჭრას გვერდი წყარ საჭედო.

ეები და გმოპეკლას თავისი გესლიანი ისრით შიგ  
მყოფი ახალი დედობები.

ძალიან საჭიროა ცოდნა, როდის გამოეიდა ბუ-  
დიდგან პირველი დედო, რომ ისარგებლოთ ჯერეთ  
კიდევ გამოუსელელი ახალი დედობით, არ გააწყვე-  
ტინოთ იგინი და მოიხმაროთ თავის დროზე.

მეხუთე ან მეექვესე დღეზე შემდეგ ბუდიდგან  
გამოსცლისა (წევულებრივ დილის თერთმეტიდან ნა-  
შუადღევის ორ საათამდის), თუ, რასაკეირველია  
ხელს უწყობს ამიდი, ახალგაზდა დედოფუალი გამო-  
ფრინდება სკიდგან, რომ ჰაერში, ხშირად სეის ახ-  
ლოს, შავყაროს მონავარს და დაიმამლოს. ამნაირი  
საქორწინო ფრენა დედოსი განიმეორება მანამდის,  
სანამ არ შესრულდება მამლობა. ცუდი ტაროსი  
მიზეზია ხშირად საქორწინო ნავარდობის დაგვიანე-  
ბისა. თუ უამინდობის, ანუ მონავრების ნაკლულე-  
ვანების გამო მამლობა არ შესრულდა ექვსი კვირის  
განმაელობაში, მის შემდეგ დედო დაიწყებს მხო-  
ლოდ მონავრის კვერცხების დებას და სკა შეიქნება  
სრულებით უვარებისი, იმამლება დედო თავის სი-  
ცოცხლეში ერთჯერ და თუ მან უკვე დაიწყო კვერ-  
ცხების დება, მას შემდეგ მამლობა აღარ შეიძლება.  
დამამლულ დედოს ეძლევა ბუნებისაგან ნიჭი რო-  
გორც მონავრის, ისე მუშა ფურქის კვერცხის დე-  
ბისა. უმამლო კვერცხიდგან სტყდება მონავარი. ნა-  
მამლიდგან — მუშა ფურქარი. კვერცხების დადების

დროს დედო ათვალიერებს ბუდეებს, რომ შეგ არ იყოს კვერცხი ან რაიმე უწმინდურება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უკან იწევს და აწმენდინებს მუშა ფუტკრებს. შემდევ თვისი უკანა გრძელი ფეხებით ებჯინება ბუდის კიდეებს, ჰყოფს შიგ ღრმად ტანს და სდებს კვერცხს, რომელიც ბოლოთი მიეკვრება ბუდის ძროზედ, რამოდენიმედ თავდალმა დაკიდებული.

კვერცხის დებას დედო წყებულობს მესამე დღეს შემდევ მამლობისა (შეუღლებისა). მეტად ხშირი კვერცხის დებაა აპრილისამ ივლისამდე, ასე რომ ამ დროს დედოს თავისუფლად შეუძლია დასდოს ერთს დღე-ღამეს სამი ათასი კვერცხი, თუ ნაყრის ძალა და ამინდები ხელს უწყობენ.

### მონაგარი.

მონაგარი არის მამალი ფუტკარი. იგი განიჩევა დედოსა და მუშა ფუტკრისაგან მახეილი, მოუქნელი ტანით, მჩგვალი თავით და დიდი ოვალებით, მოსა-გერებელ შხამიან იარაღს სრულიად მოკლებულია. მონაგრების გასაშენებლად დედო სდებს უმამლო კვერცხებს, რომლებიდგანაც იჩეკებიან და სრულდებიან ოც-და-ოთხის დღის განმავლობაში. მონაგრი-სათვის ფუტკრები აკეთებენ საკუთარს, უფრო დიდს ბუდეებს, მაგრამ თუ რაიმე მიზეზისა გამო მისი კვერ-

ცხი ჩაიდეა უბრალო ფუტკრების შუღეში, მაშინ ის გამოეა ტან მორჩილი, მამლობისათვის ამით კი არა დაკულდება რა. ერთად-ერთი მიზანი და დანიშნულება მონაცერის არსებობისა არის დედოს განაყოფიერება (დამამლება) და რაღვან დამამლება დედოსათვის ერთჯერ არის მხოლოდ საჭირო მთელს მის სიცოცხლეში, დანარჩენები, გარდა ერთისა, სრულიად უსარგებლონი არიან სკისათვის. ამისათვის გონივრული მეფისტოფელისა მოითხოვს, რომ შათი რიცხვი, როგორც მუქთა-მჭამლებისა, შემცირდეს. სრულიად მოსპობა კი მავნებელი იქნება.

როდესაც თაფლის მოგროვება დასრულდება და ფუტკრები აკვეთენ (დასტოვებენ) ნაყრობის სურვილის, დაღება დრო მონაცერების გაწყვეტისა. ფუტკრები მათ ალარ მიუშვებენ თაფლთან, აკვეცენ ფრთხებს, აგდებენ კარში და ამნაირად ჰყელენ შიმშილით. უდედო სკებში კი არ ერჩიან მათ.

### მუშა ფუტკარი.

მუშა ფუტკრები არიან დაუსრულებელი უნაყოფო დედლები, ტანით დედოებზე და მონაცერებზე ნაკლები, რაღვანაც გაზრდილი არიან პატარა ბუდეებში და არ არიან ისე უხვად ნაკვები, როგორც დედო. იჩეკვებიან იგინი დამამლული კვერცხებიდგან და სრულდებიან ოცს ანუ ოც-და-ერთი დღის გან-

მაელობაში, თუ კარგი ამინდები შეხედთ და თუ ცუ-  
ლი, — მაშინ ეს ხანი რამოდენიმე დღეს გაგრძელდება.  
ყოველიფერ საქმეს სკაში და სკის გარედ აკეთებენ  
მუშა ფუტკრები. უმცროსები, ე. ი. ბუდიდგან ახ-  
ლად გამოსული ფუტკრები აზავებენ სკაში მოტანილ  
თაფლს და ყვავილის ფქვილს, ამზადებენ რძეს, ჰკვე-  
ბენ ბარტყებს და დედოს, სწმენდენ კვერცხების ჩა-  
სადებ ფიჭებს, უკლესენ მათ თავებს და აშენებენ  
ახლებს იმ დროს, როდესაც თავნი (ხნიურნი) ფუტკ-  
რები სწმენდენ სკას, იცავენ მას მტრებისაგან, მო-  
აქესთ ტყე-მინდვრებიდგან თაფლი და ყვავილის ფქვი-  
ლი, წყალი, დინდგელა (წეპო), რომლითაც გლესენ  
ყოველგვარ ჯურჯუტანებს და ნაბჭრებს სკაში. ყვა-  
ვილებიდგან წვენის ამოსაწუწინად მუშა ფუტკარს აქვს  
გრძელი დინგი, რომლითაც მას ისხავს ჩინჩახვში;  
ყვავილის ფქვილის მოსაგროვებლად მას მთელი ტანი  
დაფარული აქვს ლინდლით (ბანჯგველით); ლინდლი-  
დგან ფქვილის ჩამოსაწმენდად ფეხებზედ აქვს მოწყო-  
ბილი საგველები; მის დასაგროვებლად — უკანა ფეხებ-  
ზედ ჩალრმავებული ადგილებია. ტანის ბოლოზედ  
მას აქვს გესლიანი ისარი, რომელსაც ხმარობს ხი-  
ფათის დროს და თავის თავს სწირავს მოძმეთა დღე-  
გრძელობასა და მშეიდობიანობას, რადგანაც კარგად  
იცის, რომ თავის ისრის ხმარების შემდეგ ის არ გა-  
გადარჩება სიკვდილს.

ხანდისხან ხდება, რომ მუშა ფუტკრები სდებენ კვერცხებს და თუმცა მამლობა არ მომხდარა, მაინც იქიდგან იჩეკებიან ცოცხალი არსებანი — მონაცრები. კვერცხის მაღებელი მუშა ფუტკრები ჩნდებიან უდედო სკებში. როდესაც მუშა ფუტკრები დედოს დაკარგვის ანუ სიკალილის შემდეგ ვერაფერ საშუალებას ვერ ნახულობენ გამოიყვანონ ახალი დედო, ირჩევენ ერთ ფუტკართავანს, დაუწყებენ მას კეებას დედოს საჭმელით, რის გამო მას რამოდენიმედ დაუსრულდება საშენებელი ასოები და ადებინებენ კვერცხებს. მაგრამ ის იმოდენად მაინც ვერ დასრულდება, რომ დაიმამდოს და ნამდეილი დედო შეიქმნეს. ამისთანა დედოები აშენებენ მხოლოდ მონაცრებს და რასაკვირველია, უვარებისნი არიან.

### განსაწმენდელი და ბინის დასასწავლი ნავარდობა.

ფუტკარს ადვილად შეუძლია რამოდენიმე ხანს ტანში შეინახოს ნაკელი, თუ დრო ვერ იშოვა განწმენდისა ზამთარში სიცივების გამო, მაგრამ როდესაც დადგება თბილი ამიდები ან თეთონ ზამთარში გამოერევა თბილი დღეები (7—8 გრადუსი სიბო), ისინი გამოვლენ კარში და დაიწყებენ სკის ახლოს ფრენას. ამას უწოდებენ განსაწმენდელ ნავარდობას, რადგანაც ამ დროს ისინი იწმინდებიან, თავისუფლ-

დებიან მუცელში ნაგროვი ნაკელისაგან. ამ ბუნების კანონს არ ემორჩილება მხოლოდ დედო, რომელიც არ იღებს მონაწილეობას განსაწმენ დელ ნაეარდობაში, მის ნაკელს სჭამენ მუშა ფუტკრები. ზამთარში ფუტკრები გაიწმინდებიან რამოდენჯერმე, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ყონვების გამო ერთჯერაც ეერ იშოვიან ნაეარდობის დროს, მაგრამ ეს მათ არ ავნებს.

საშოვერის დაწყებისას ფუტკრებს ხშირად ხედავთ სკების წინ მონავარდეს. ესენი რამდენიმე ხანს ტრიალებენ სკის ახლოს, რომ ბინა არ დაეკარგოს და შემდეგ გაპქრებიან თქვენი თვალიდამ. ნუ იფიქრებთ, რომ თუ ფუტკარმა ერთხელ დაათვალიერა თავის ბინა, რაიმე მიზეზით იმან ის დაპქარგოს. მაგრამ თუ თავისი ბინა რიგიანად არ დაინიშნა და სხვა სკაში შეძვრა, იქ იმას მოელის სიცოცხლის გამოსალმება. ესეც არის, რომ თუ სხვის სკაში ფუტკარი ცარელი არ შევიდა, არ ერჩიან.

### ე რ ა.

(გაუოფა ფუტკრის ოდახისა რამოდენიმე ოდახად).

თუ ფუტკრის რაოდენობამ სკაში იმოდენად იმართა, რომ მთელი სკა მით გაიგხო და ბინა ძალიან მოხუთული შეიქმნა თან-და-თან მოზარდე ოჯახისა-

თეის, მაშინ ერთი ნაწილი ფუტკრებისა, როგორც  
 ძევლის, ისე ახლებისა, გამოეცლებიან სკას და თან  
 გამოიყოლებენ ძევლ დედოს და მოეხვევიან, უფრო  
 ხშირად სკის ახლოს ხის ტოტს, ანუ სხვა რაიმე  
 საგანს, ყურძნის მტერანივით. ამას უწოდებენ ყრას,  
 ანუ გამოსელის სკიდან ერთი მოელი ოჯახისას.

ყრის მოახლოვების ნიშნები არიან: დადება სა-  
 მონაცრე კვერცხებისა და სადედოვების გაკეთება. მაგრამ სანამ ფუტკრები ჯერედ კიდევ აგრძელებენ  
 თავის ფრენებს და რიგიანად ვერ ფარვენ, მათ ყრას  
 ნუ ელი; როდესაც ფუტკრები გუნდათ დაეხვევიან  
 პირეელ გაკეთებულ სადედოვებს, მაშინ იმედი გქონ-  
 დეს ყრისა. ნაყარის გამოსელის დროს თვლებთან  
 მჯდომარე ფუტკრები უეცრად შეცეიდებიან შიგ-  
 ნით, რომ თან წამოილონ თაფლი და მოეშალონ  
 ხანგრძლივი მოგზაურობისათვის. შემდეგ სიჩქარით  
 გამოცეიდებიან თელებიდგან, დაიწყებენ დიდის ხმა-  
 ურობით სკის ახლოს ჰაერში ტრიალს და რამოდე-  
 ნიმე ხნის შემდეგ ჩამოეკიდებიან ერთს აღილას,  
 რომ ყველამ მოიყარონ თავი, დაისვენონ და გაემგ-  
 ზაერონ ბინის საძებნელად.

ერთი სკიდამ შეიძლება რამოდენიმე ნაყარი  
 გამოეიდეს. ნამდეილი არის პირეელი ნაყარი, რო-  
 მელსაც მიჰყენება კვერცხის მადებელი ძევლი დედო;  
 შემდეგ ნაყრებს გაჰყება ხშირად რამდენიმე უნა-  
 კოფო (უმამლო) დედო. შეიძლება ყრამდის ძევლი

დედო, რაიმე მიზეზისა გამო, დაიკარგა, ანუ მოკვდა, ფუტკრები ახალს გამოიყენენ და ამისთანა შემთხვევაში პირველ ნაყარსაც ახალი დედო გაჰყვება.

ხშირად ხდება, რომ ფუტკრები სულ გამოდიან და სტოვებენ ცარიელ სკას. ეს არ არის ყრა; ეს არის მშიერი, ანუ ბურნისაგან დასუსტებული ფუტკრის ოჯახი. ამისთანა ფუტკარი ხშირად პატრონისათვის დაკარგულია. დიდი ცოდნა და მოელა უნდა მის გალონიერებას.

### ფუტკრების გარვილობა.

კარგ საშორობის დროს და ამინდებში ფუტკრების გარჯილობა ჭეშმარიტად გასაოცარია. ამგვარ გარემოებაში მათი სიცოცხლე არ აღემატება ექვს კვირას — მალე იხოცებიან უზომო შრომისა გამო. რამოდენად გამრჯელები არიან ისინი, სჩანს იმისაგან, რომ კარგ საშორობის დროს მათ 14 დღის განმავლობაში შეუძლიათ არა თუ მარტო მოამზადონ სკაში, არამედ გაავსონ კილეც თაფლით და სხვა საჭირო ნივთიერებაებით. ამაში დარწმუნდებით, თუ ნაყარს ნახავთ მეხუთმეტე დღეს ახალ სკაში ჩასმის შემდეგ. ღონიერი ნაყარი ამ დროის განმავლობაში შეიდ-რეა ჩარჩოს გაავსებს ფიჭით, ბარტყით, მათთვის საკვებად საკმარი თაფლით და ყვავილის ფქვილით. ძალიან კარგ დღეებში მათ შეუძლიათ დღეში მოაგ-

როგორ 7-დღან 14 გირეანქამდის თაფლი და მასთან  
 არ დასტევონ სხვა სამუშევარიც.

მიუხედავად ამისა მოხდება, რომ ზოგიერთი  
 სკები ზარმაცობენ და არ იჩენენ ისეთს მოქმედებას,  
 როგორსაც იჩენენ სხვები. მისი მიზეზები, შეიძლება,  
 ბევრნაირი: დედოს დაკარგვა, ავადმყოფობა მისი,  
 ანუ სიბერე, ბარტყების სიმრავლე, რომელიც მომვ-  
 ლელი ფუტკრების სიმრავლესაც მოითხოვს. შეიძ-  
 ლება, რომ ახალი გამოჩენილი თაფლის წყარო ვერ  
 ვერ მიეგნოსთ, ანუ კიდევ და სკა თაფლით, შეიძლება  
 საესეა. თუ გსურსთ ამისთანა სკების მოხმარება და-  
 ობლებულს უნდა მისცეთ დედო, ავადმყოფს ანუ  
 ბებერ დედოიანს — კარგი დედო, ამოაკლიათ თაფლი  
 თაფლით სავსე და — ბარტყი ბარტყით სავსეს და მათ  
 მაგიერ მისცეთ ცარიელი ფიჭები. რომლებსაც ახალი  
 თაფლის წყარო ვერ მიუგნიათ, მათ წაჭამეთ ცო-  
 ტაოდენი თხელი თაფლი, რომ გარედ სამუშევრად  
 გამოიტყოთ. ლონიერი სკებისათვის სასარგებლ აა  
 აგრეთვე ბინის გადიდება, რომ ხელი არ შეეშალოსთ  
 თაფლის შენახვაზედ და აგრეთვე ფიჭებიც აკეთონ,  
 რადგანაც ფიჭის მაკეთებელი ფუტკარი მეტად მშრო-  
 მელია.

### ფუტკრების სისუფთავე.

რამოდენად შრომა და მოქმედებაა ფუტკრებისა გასაკ-  
 ვირალი, იმოდენად სისუფთავეა მათი სანატრელი ყოვე-

ლი გონიერი კაცისათვის. არასოდეს არ შეიძლება, რომ  
 საღმა ფუტკარმა თავის ნაკელით სკა გააუწმინდუ-  
 როს; აგრეთვე იწვევს მთ ყურადღებას ყოველგვარი  
 უწმინდურობა სკაში. მკედარ ფუტკრებს, ფიჭის ნაგ-  
 ლეჯებს და სხეათა მაშინვე გაიტანენ სკიდგან. შეიძ-  
 ლება სკაში მოკლეს ცხოველი, ანუ მწერი და ვერ  
 შეიძლეს მისი კარში გატანა, მაშინ ისინი დაფარვენ  
 მას დინდგელათი, შემოლესენ გარშემო, რომ სუნით  
 არ შეწუხდნენ. კარგად იციან, რომ მათთვის დამპა-  
 ლი მტრები უფრო მავნებელნი არიან როგორც სუ-  
 ნით, აგროვევე მით, რომ ისინი ხდებიან მათი მტრე-  
 ბის გასაშენებელ ბუდეთ.

### თავის თავის დაცვა ფუტკრებისაგან.

ფუტკარი იქბინება მხოლოდ მაშინ, როდესაც  
 მას ხელით დააწევებიან, რამეზედ მიაჭილეტენ, პირის  
 სიმყრალეს ჩასულთქმენ სკაში, ერთის სიტყვით, რო-  
 დესაც რითმე აწუხებენ; აგრეთვე იქბინება სკის ან-  
 ლოს სკისა და დედოს დასაცველად. თავის ბინის  
 მოშორებ კი, გარედ მუშაობის დროს, ის მეტად  
 ბრიტხალი მწერია და არაოდეს არ ფიქრობს, რომ  
 პირებლად თეითონ დაეცეს თავის მტერს, რადგანაც  
 კარგად იცის, რომ კბენის შემდეგ უნდა მოკვდეს,  
 საკბენი იარაღი კბენის დროს ნაკბენ ადგილში რჩება  
 და იმის შემდეგ მისი გადარჩენა შეუძლებელია. მაგ-

რამ თუ სკოს ახლოს დგახარ და აქნევ ხელს, ანძრევ  
თვალებს, წარბებს, თავს, ტანისამ.ისს, ფუტკრები  
 ძლიერ ხელდებიან და იყბინებიან.

ეინც ჩუმად უვლის ფუტკრებს, ერიდება ხმაუ-  
 რობას და მოძრაობას, ის თავისუფალია ფუტკრების  
 კბენისავან. ერთჯერ დაკბენილს ფუტკრებისაგან კაცს,  
 შემდეგი ნაკბენები ძლიერ აღარ უძნელდება და არ  
 უსივდება. ფუტკრებისაგან ძალიან დაკბენილ კაცს  
 აძლევენ შაქარზე დასხმულს სამის და არა მეტის ფუ-  
 ტკრის გესლს; სიმსიცნე საათში გაიელის. სკეპთან  
 მუშაობის დროს მზად უნდა გქონდეს მაკიდონელის  
 (ოხრახუშის) ფოთლები. ნაკბენზედ უნდა წაისრისოთ  
 და აღარ გასივდება.

## ქურდობა

კარგ ამინდში, როდესაც ბუნებას თაფლი არ  
 აქვს, ზოგიერთი ფუტკრები ემგზაერებიან სხვა სკეპი-  
 საკუნ თაფლის მოსაპარავად. თუ ერთმა ფუტკარმა  
 მაინც იშოვა საქურდალი, ნაქურდალი მას მიაქვს  
 სკაში, შემდევ გაბრუნდება ხელმეორედ, მაგრამ არა  
 მარტო, არამედ მრავალი სხვა ფუტკრებითურთ. ამ  
 გვარად რიცხვი ქურდებისა თან-და-თან იმრავლებს  
 და ბოლოს ქურდობა ცარცვად გარდაიქცევა. ხშირად  
 მოხდება, რომ ქურდები დაეცემიან სუსტ სკას, და-  
 ხოცვენ არაულებს, წაართმევენ თუ რამე აქვსთ

მათ და დანარჩენ ფუტკებსაც თან ტყველ წაიყვა-  
 ნენ. ქურდების პატრონს ამით არაფერი საჩვებლობა  
 აქვს, ამიტომ რომ ფუტკარი, როვორც კაცი, თუ  
 ერთჯერ დაადგა უპატიოსნო გზას, მისი გასწორება  
 ძნელია, როდესაც სხვაგან გამოელევათ ქურდებს  
 საქურდალი, მას უკან მეზობელ სკებს შეეპატივებიან  
 და რამოდენიმე დღის განმავლობაში მოელ საფუტკ-  
 რეს გაანადგურებენ. მეფუტკრე ხშირად ვერ ატყობს,  
 რომელ სკაშია ქურდობა, ქურდვენ სკას, თუ სკა  
 ქურდობს, ვერ გაუგია, იმ შემთხვევაში მეფუტკრემ  
 უნდა დაიჭიროს ფუტკარი, გასრისოს: თუ ცარიელი  
 აქვს ჩინჩახეი, მაშინ სკიდგან სხვაგან მიღის საქურდ-  
 ლად, თუ საესე აქვს თაფლით, მაშინ სკიდგან გააქვსთ  
 თაფლი. ანუ ასე უნდა მოიქცეთ: სკის გამოსაფრენ  
 თვალთან დასდგებით და ზევიდგან ფერილს დააყრით  
 წამსვლელ ფუტკარს. თუ ფუტკარი სადმე სხვა სკაში  
 შევიდა, მაშინ უკანასკნელი გასინჯეთ და რომელიც  
 სუსტია, იმას ქურდობენ.

როდესაც შეიტყობთ, რომელი სკა იქურდება,  
 მაშინ ორად შეკეცილი ბადე, ანუ მის მსგავსი სა-  
 განი წააფარეთ საფრენ თვალზე და თუ ქურდები  
 უეჭველად მოერიდებიან, სკაში მცხოვრები კი მალე  
 მიეჩვევიან. ქურდების წინააღმდეგ საშეალებად ითვ-  
 ლება აგრეთვე ნაეთი. მას წაუსმენ გამოსაფრენ  
 თელებზე, ქურდები სუნს ერიდებიან და ქურდობას

თავს ანებებენ, და მოხდურები კი აღვილად ეჩვენებან  
შემაწუხებელ სუნს.

## ფუტკრის წეპო ანუ დინდგელა.

გარდა თაფლისა და ყვაეილის ფქვილისა ფუტკ-  
რებს შეაქვსთ სკაში ეგრედ წოდებული წეპო ანუ  
დინდგელა—ფისის მსგავსი ნიეთიერება, რომელსაც  
იღებენ ფუტკრები ყლორტებსა და ნორჩ ფოთლე-  
ბიდგან. დინდგელს ხმარობენ ჯუჯუტანების და ნაბჭ-  
რების დასაგლესად, აგრეთვე სკაში მკედარი ცხოვე-  
ლების დასასუდრავად, გადასალესად, რომ დალპობის  
დროს არ შეწუხდნენ სუნისაგან. დინდგელა, გარდა  
ამისა, იხმარება საფრენი თვლების დასაეიწროებლად  
სიცივეში.

## გრძნობანი ფუტკრისა.

ყნოსეის გრძნობა ფუტკარს, უეჭველია, ძლიერ  
განვითარებული აქვს; მის საშუალებით მას შეუძლია  
გამოიცნოს თევისი ბინა, თავისი დედო სხეისაგან,  
თავისი თანამშრომლები სხეა ფუტკრებიდგან. ამბო-  
ბენ, რომ თევითეული დედო განსაკუთრებულ სუნს  
აძლევს სკასო და, სწორედ, ჭკუაში მოსასვლელიც  
არის. რამოდენიმე საათის მანძილზე ისინი ტყობუ-  
ლობენ თაფლის არსებობას და ეშურებიან საშოვარს.  
აგრეთვე აღვილად პოულობენ მოშორებ დადგ მულ

თაფლს. თანამდებობა ყნოსეისა განვითარებული აქცით  
 მათ მხელეელობაც. ყრის ანუ ნავარდობის დროს,  
 როდესაც ჰაერში გაცოფებული იჩევიან ერთი-  
 ერთმანეთში, არ შეიძლება ერთი მეორეს დაეჯახოს,  
 თვალები ფუტკარს ორგვარი აქცი: ორი აქცი თავის  
 იქით-აქცი და საბი წინ ერთად. აგრეთვე ძლიერ  
 განვითარებული აქცით ფუტკარებს შეხების, სმენის და  
 გემოვნების გრძნობანი.

### საზრდო ფუტკრებისა.

ფუტკრების საზრდო არის თაფლი და უვავილის  
 ფქვილი. თაფლი, რომელსაც ზიღურები ფუტკრები  
 სათაფლე ჩინჩახევით, შესდგება ნახშირბაზის, წყალ-  
 ბაზის, მეავტადის და რამდენიმე აზოტისაგან. უვავი-  
 ლის ფქვილი კი, რომელსაც აგრიუებენ ფუტკრები  
 უვავილებისაგან, შესდგება უმეტესად აზოტის ნიერი-  
 ერებისაგან. პირეული შეელის უფრო სურთქაში და  
 სითბოს შეჩახეაში, მეორე კი აძლევს სისხლს და  
 ხურცს — აახლებს ფუტკრის სხეულს, ამისათვის ბარ-  
 ტყების საკეებად უფრო საჭიროა უვავილის ფქვილი.  
 დასაკეირთალი არაა, რომ ფუტკრები გაჩაფხულზე  
 ძლიერი ბარტყობის დროს დიდის მოწიწებით ეზი-  
 დებიან ფეხებით სკაში უვავილის ფქვილს. ჩადგანაც  
 ეს ნიერებისა ზამთარშიაც საჭიროა, ფუტკრები  
 კარგ ნაშოურაბის დროს ფიჭებში აგრიუებენ. მას,

K 61. 543

გლეხენ თავს და ინახვენ. ეს შენახულება დიდ საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ფუტკრები თეთონაც ხმარობენ ზამთარში და უფრო მეტად ბარტყებისათვის ახალ გამოზაფხულზედ, როდესაც ჯერეთ კიდევ კარში არ მუშაობენ სიცივეებისა გამო. გადალესვა, თავის დახურეა თაფლიანი და ყვავილის ფქვილიანი ფიჭებისა მისთევისაა საჭირო, რომ თუ თავლია დარჩა, თაფლიცა და ფქვილიც სითბოსა და სინოტიესაგან მქავლება და ფუტკრებისათვის მეტად მავნებელი შეიქმნება. მართალია, რამოჟენიშვ ფიჭის თელები თავლია რჩება, მაგრამ მათ ფუტკრები სტოკებენ დასახარჯავად და მალე სჭამენ. თაფლისა და ფქვილის ზეისაგან ფუტკრები წყლით ამხადებენ ბარტყების საკვებს. ეს რძის მსგავსი საკვები ისეთი საჭირო არის ფუტკრის მატლებისათვის, როგორც ნამდებილი რძე ცხოველების ბარტყებისათვის.

თუ ნაშოერობა უხვია, მაშინ ფუტკრები მეტს თაფლსა და ფქვილს სჭამენ, ერთ მათი არსება მოითხოვს, რისი შეღეგვ არია ნამეტანი საჭმელის ქანად ქცევა და ოფლად გამოვლა ტანიდგან, რამელსაც ჩვენ უწოდებთ წმინდა სანთელს.

რომ აეიღოთ ფუტკრი და დავაცერდეთ მუს ცელზე, ჩვენ შევამჩნევთ ითხ რგოლს. ამ რგოლზე არის რეა პატარა სილრმავე, რომელშიაც გამოდის სანთელი თხელი ქერწლის ფრად; ეს აღვალად შე-

სამხინეება უმრავლო თეალით. ამ ქერწლებს ფუტკრები ი ერთ-მეორებს აცლიან და აშენებენ ფიჭებს. ხშირად ნახავთ ამისთანა ქერწლებს დაბნეულს სკის იარაყვნე.

### თაფლის წევარონი

არ შეიძლება დაეხსონებოდეთ იმ აზრს, რომ ჩაც თანდათან ადამიანი ბუნებას ერება და სპობს ტუმინდერებს, აქცევს მას ბალებად და უანებად, მეფე-ტკრეობა უკან და უკან მიღის. ამისათვის გრავალი მეფუტკრები სინანულით იგონებენ ძეელ დროს და ამტკიცებენ, რომ აწ იმ სარგებლობას არ უნდა მოველოდეთ მეფუტკრეობიდამ, ჩაც ყოფილა ოდესმე. მაგრამ იმასც არ უნდა ეიციწყებდეთ, რომ აღამიანი ბუნებისაგან დასაჩუქრებულია დიდი ნიჭიერებით, რომლის შემწეობით მას შეუძლია ერთი ორად და სამად ამინიჭოს ის, ჩაც დაპყარება მან ველური მკრალების გაწყობით; მას შეუძლია გააშენოს თესეით თაფლით მდიდარი მცენარეები; შეუძლია, მეფუტკრეობას გონიერულად მოჰკიდოს ხელი და არ გაიხადოს მოსაგონებლად ძეელი დროება. ველურ მცენარეობას, მართალია, შეუძლია ბევრი თაფლი მისცეს ფუტკარს, მაგრამ მშრომელი და რიგიანად მცოდნე მეფუტკრე ადვილად გააშენებს კარგ თაფლის მომცემ ბალანებს და ისე დროს შერჩევით, რომ მოელი

ზაფხულის განმავლობაში მუდამ ეშოუებოდეს ფუტკა-  
რებს თაფლი და არ ზარმაცობდენ მაშინ, როდესაც  
ბენება ასე დროს შეჩრდებით თაფლს ეერ მისცემს.

გარდა ყვავილებისა ცოტა თაფლი არ იკრიბება  
ფოთლებიდანაც, ნამეტურ გოლეის დროს; მას ქარ-  
თულად უწოდებენ «თაფლის მანანას».

შინაგანი შენობა სკისა და მუშაობა ფუტ-  
კრებისა.

მთელ შინაგან სკის შენობას ამხალებენ ფუტკა-  
რები წმინდა სანთლიღვან, ფიჭებს (სარაჭება)კურენტზე  
სკის ჭრიზედ და ჩაჰევსო ძრტს გასაოცარი სისწო-  
რით. ფიჭები წარწყობის ერთი მეორეზედ  $\frac{3}{11}$  ვო-  
ჯის სიშორით. მათ შორის შეუარებელი ადგილი  
იწოდება ფიჭის ქუჩად. თუ უკანასკნელი საფრენი  
თვალის პირდაპირაა, მაშინ ფიჭების შენობა ციცია,  
თუ ქუჩა არღოვანდა და საფრენი თვალი ფიჭის  
გვერდზეა, მაშინ შენობა თვილია. პირელ შენობის  
სკებში ფუტკარები შესელის დროს პირდაპირ ქუჩებში  
მოხვდებიან, ციც შენობის სკებში კი ფიჭებს უნდა  
შესოუარონ და მეორე გვერდიდებან მოძებნონ ქუ-  
ჩები. ფიჭა ანუ სარაჭი შესდგება ერთი მეორეზე  
წაწყობილ ბუდეებისაგან, რომელნიც თავის დანიშ-  
ნულებით და არსებობით იყოფებიან მუშა ფუ-

ტკრისა და მამალის ბუღეებად. ფუტკრისა. და მამალი ფუტკრის ბუღეები ძალიან შესამჩნევად განიჩრიებიან ერთი მეორისაგან. გასამაგრებელი ბუღეები ფიჭები ეკერება და ჰერედია სკის ჭრიზედ და გვერდებზედ.

ფიჭებს სკაში აშენებენ ფუტკრები, როგორც ზეეითაა ნათქვამი, მაღლიდგან ძირს, ძალიან ძერად ძირიდგან მაღლა. ნაყრები და განაყოფები ჯერეთ აშენებენ საბარტყე ბუღეებს, რომლებშაც აგრეთვე აგროვებენ თაფლსაც. უდედო და მონაერის დედო-იანი სკები სულ ყოველთვის აკეთებენ მონაერის ფი-ჭებს. მუშა ფუტკრების ფიჭები (ბუღეები, როდესაც შიგ ბარტყებია), იბეჭიდებიან ფუტკრებისაგან ვაკე, სწორი თაესახურავით, მონაერის კი—გამობერილი, უსწორ-მასწორი თაესახურავით.

ყოველი მაღლი ფუტკრისა დაპარკების დროს სტოვებს თაეის პერანგს ბუღეში, რომელიც ეკერება მის კედლებზე, ამისათვის, რაც უფრო ბევრჯერ გა-მოტყდება ერთსა და იმავე ბუღეში ბარტყი, ისე უფრო ბევრი პერანგი რჩება შიგ და თან და თან ეიწროვდება. ამისთანა ბუღეებიდგან გამოსული ფუ-ტკრები შესამჩნევად ნაკლებია ტანით. ამისათვის მც-ფუტკრე უნდა სცდილობდეს ძალიან ძევლი ფიჭები სკებიდგან გააძიოს. რაც უფრო ძევლია ფიჭა, ისე უფრო ფერ გადაკრულა; რამოდენიმე წლის განმავლობაში კი სრულიად შავდება.

თაფლის შესანახ ჭურჭლად იხმარება, როგორც  
 მუშა ფუტკრის, აგრეთვე მონაცრის ფიჭებიც. ამ  
 უკანასკნელ დროს მეფუტკრებმა შემოიღეს საშუა-  
 ლება (მანქანები) ხელოვნური ფიჭის საკეთებლად.  
 გონიერულ მეფუტკრებაში ხელოვნურ ფიჭას ღიდი  
 მნიშვნელობა აქვს. ეიაც ნამდვილი ფიჭები ბევრი-  
 აქვს, მაშინ ხელოვნური ფიჭა იმოდერაზ საჭირო  
 აღარ არის, მაგრამ ზოგერთ შემთხვევაში კი უკა-  
 ნასკნელი მიუცელებლად საჭიროა. ხელოვნური ფიჭა  
 დის სალავათს აძლევს ფუტკრებს მუშაობაში და  
 ხელს უწყობს თაფლის შენახვის დროს. ნახევარ  
 გირეანქა წმინდა სანთლის (რომლისაგან ფუტკრები  
 აგებენ ფიჭებს) გაკეთებას უნდება, ამბობენ გამოც-  
 დილი მეფუტკრები, აა ი გირეანქა თაფლის მონე-  
 ლება გარდა რაზდენიშე ყვაეთლის ფქვეილისა. სულ  
 რომ ძალიან დავამციროთ ე', რიცხვი, მაინც მჩეულ  
 თაფლს დაზოგავს მცოდნე და მოხერხებული მეფუ-  
 ტკრე ხელის შეწყობით და ტყუილ უპრალოდ არ  
 დაახარჯეინებს მას. ძალაან სცდება, ეინც ამტკიცებს,  
 რომ ფუტკრები არ საჭიროებენ მზა ფიჭას, რადგანაც  
 თეითონაც ცარგად აკეთებენ და არც ისე ეძებდე-  
 ბათ მისი შენებაო. ამაში ადვალად დატრწმუნდებით,  
 თუ თაფლის ძლიერი საშოგრობის დროს ერთ სკაში  
 ჩავაწყობთ ცარიელს და მეორეში ფიჭან ჩარჩოებს.  
 სანამ პირველში ფუტკრები ფიჭებს დამზადებდენ,

მეორეში თუგერ-სამჯერ შეკვიძლია დაქცე:ლით  
თაფლით : ხლად გავსილი ფიჭები. გარდა აღისა ფი-  
ჭების მჩადების დროს ფუტკრები სცდებიან თაფლის  
მოტანაზე და ესეც ცოტა ზარალს არ აძლევს მეფუ-  
ტკრეს. მეფშიტკრე უნდა სცდილობდეს, რაც შეი-  
ღება, სრული შენობა იქმნეს სკაში, თუმცა სრუ-  
ლიად განთავისუფლება ფუტკრებისა ფიჭების ცენტ-  
ბილგან საზარალო იქნება.

### ავადმეოფობა ფუტკრებისა

უკეთესა მეფუტკრემ უნდა იცოდეს ოოგორც  
ავადმყოფობა ფუტკრებისა, აგრეთვე საშუალებანი  
მათ წინააღმდეგ. მათ შორის მეტად მავნებელი არის,  
ეგრედ წოდებული, მყაყი ანუ ფუტკრის ქამი.

### მ ე ა ე ი

მყაყი არის ორგვარი—ხმელი და ნედლი. ხელი  
მდეომარეობს მასში, რომ ბარტუკები, როდესაც ჯე-  
რეთ კიდევ მატლებად არიან და სხევლან ბუღის ძრავე,  
ჰელებიან სიკელილის შემდეგ იხრუნებიან, ლპებიან  
და უშეებენ მეავე მავნებელ სუნს. სანამ აშევარი  
მყაყი არ გაღონიერებულა და არ მიუღია ჭლანის  
წეპოს სუნი, ძლიერ მავნებელი არ არის, ფუტკრებს  
აღვრლად შეუძლიათ გასწმინდონ სკა. არც გადაედება  
სხეა სკებს, თუ ავადმყოფი ფიჭა შეცოომით არ ჩას.

დევით სალ სკაში. ხმელი მყაყი ზოგიერთ ხელის შემწყობ გარემოებაში გადაიქცევა ხოლმე ნედლ, ძლიერ მაენებელ სენაჟ—ფუტკრის ფამად, რომელიც სწრაფად გადაედება და მოიღლის მოელ სკებს. გან-დევნა ამ სენისა და განწმენდა სკისა შეუძლებელი შეიქნება ფუტკრებისათვის და ძალიან საძნელო თეთო კარგა გამოცდილ მეფუტკრისათვისაც. უკანასკნელ შემთხვევაში უმჩაველესობა ბარტყებისა კედება ბარ-ტყობის წინედ, ანუ იმ დროს; ბუდეების თაესახუ-რები ჩაიდრიკებიან შიგნისაკენ და გაუჩნდებათ ჭურ-ჭუტანები. რომ გახსნათ ამისთანა ბუდე (მოძროო თაესახურავი), შიგ შეამჩნევთ შაგს, წეპოს მსგავს უსიამოვნო სუნის სითხეს, ტალახად გარდაქცეულს, რომელიც შემდეგ დაახვება ბუდის ძროს. ამისთან ბუდეების გაწმენდა აძლევს ფუტკრებს იმურნ მეშა-ობას, რომ ხმირად მათ დასჭირდებათ ხოლმე მოელი ფიკების წახდენა, დაკლეჯა და გადაურა გარედ, რომ გადარჩნენ გადამდები მეზალი სიდამპლასაგან. სა-ნამ გაძლიერდებოდეს სენი, ღონიერ სკას შეუძლია ეპროლოს მას, მაგრამ უმეტეს ნაწილად ამის შე-დეგია თანდათან დასუსტება და ბოლოს სრულიად მოსპობა ოჯახისა.

მყაყის (ქამის) წამლობას უნდა შეუდგე დაუკუ-ნებლივ და ფრთხილად ეჭილებდე სალ სკეპს, რომ ალარსად გაჩადეს; შიუცილებლად საჭიროა ავადმყოფი სკების გადატანა საფუტკრადამ და იმ აღვილებხე, სადაც ისინი იდგნენ, კირის მოყრა. თუ წაყეანა

არსა და მოახერხდება და წამლობაც შეუძლებელია,  
 მაშინ სჯობს ისინი დაწყვეტილოთ გოგირდით, ბუდე  
 დაანგრიით და გადადელით ჩოგორუ სანთელი,  
 ისე თაფლი. დაუარიელებული სკები გარეცხვი კი  
 ნარევი ნაცარწმენილით, მეტე წმინდა წყლით და  
 ბოლოს უნდა უხრიოლოთ ისევ გოგირდი, რის შემ-  
 დეგ დაიჭირება და ისე დარჩება ერთ დღე და ლამეს.  
 ამის შემდეგ სკაში ისევ შეიძლება შეუშვათ ფუტკა-  
 რი, მაგრამ სიფრთხილისათვის სჯობია მეორე წლამ-  
 დის აღარ იწვაროთ. წამლობის დროს უშიშრად  
შეგიძლიათ ამოიცეანოთ დედა ავადმყოფი სკიდგან  
 და სხვაგან იხმაროთ, მაგილითად, ხელოვნურ ნაკ-  
 რებში ანუ უდედო სკეპში, მხოლოდ მუშა ფუტკ-  
 რებს კი უნდა მოერიდოთ, მათ ადეილად შეუძლიათ  
 გადაიტანონ თან სენი. დედოს წართმევის შემდეგ  
 აეათმყოფი ოჯახები უდედოდ დარჩებიან, სანამ ახალს  
 გამოიცეან დანენ, ბარტყობა შესწყდება დროებით და  
 სუნიც შესუსტდება. ამ დროს ავადმყოფებს უხრიო-  
 ლებენ და აჭმევენ სალიკილის სიმევეს. ის ძვირი  
 არ არის და შესახედავათ თეთრი ფხენილია; იშოვით  
 უელგან აფთექებში და აფთიაქის მაღაზიებში. სახრ-  
 წოლებლად უნდა გაახუროთ მუშტისოდენა აგურის  
 ნატეხი (არ გაწითლდეს-კი), დასდოთ ციცს იმისთანა  
 ნატეხზე და ორივე დასდოთ სკის ძირში და ზევი-  
 დაშ ცხელ ნატეხზე დააყაროთ მეექვსედი მისხალი

სალიკილის, სიმებასა. ზევრო უნდა გადააფარით რკინის ანუ რიამე ბალე, რომ ფუტკრები ზედ არ დასცივდნენ და არ დაიწვან. სკა ამის შემდეგ ჭილ-როდ დაჭმანეთ, მხოლოდ საფრენი ოპლები დაუტე-ვეთ ღია. ამნაირად უნდა უხრისოლოთ პირველად ყოველი ორი დღის შემდევ, მერჩე კი—თითო ჯერ კვირაში და ბოლოს ორ კვირაში ერთჯერ. ასე უნდა შვერბოდეთ მხელ ზაფხულს და განიმეობდეთ ისევ გაზაფხულზედ. სასარგებლოა ზაფხულში ორჯერ და გაზაფხულ-შემოგომაზე თითო ჯერ უხრისოლოთ ოვითეულ სხვა საღ სკასაც სალიკილის სიმება, სა-დაც სკები იყენენ ქამით ავადმყოფი.

ხრისოლებასთან ძლიერ სასარგებლოა ფუტკრებისათვის ჭმევა ერთი გირვანქა თაფლისა, გირვანქა ნახევრის წყლისა და მეოთხედი მისხალის სალიკილის სიმებავის ნასვრისა. ჭმევაც იმ რიგზე უნდა, როგორც ხრისოლება.

აგრეთვე ძალიან სასარგებლოდ სტობენ ფუტკრის ქამის წინააღმდეგ სკებში კაკლასოდენა ქაფურის დადებას, რომელსაც სტოვებენ სამ დღეს სკაშა და სამ დღეს აცლიან, მთელი თოვის განმავლობაში ასე იმეორებენ.

ფ ა ღ ა რ ა თ ი .

ეს სენი, სახელწოდებული ფალარათად, ნაკლებ მავნებელია, ვინემ ფუტკრის ქამი. სენი შეიტყობა მით, რომ სკის შიგნით კედლებზე, ბუდეში, ფიჭებზე და ჩარჩოებზე დაინახავ ყვითელი ფერის მასწმულ ნაკელს, რომელსაც სლის მყრალი სუნი. მიზეზი

ფალარათისა არის შეწუხება და გამოღვიძება ფუტკ-  
 რებისა ზამთრის სიცივეებში, როდესაც ისინი არიან  
 ღრმა ძილში (სიკედილის მსგავსი მდგომარეობაა  
 მწერთა დიდ სიცივეებში); აგრეთვე ძლიერ ხელს  
 უწყობს ფალარათს ცივი ანუ მეტად თფილი ბინა,  
 ხინოტიე სკაში, როდესაც ისინი იძულებული არიან  
 სკის გასაშრობად სეან კელლებზე ჩამოსული წვეთები,  
 — გრძელი ზამთარი, ხმარება დაუბეჭდელი და ამი-  
 სათვის დამტკმებული თაფლისა. ამისთანა შემ-  
 თხვევაებში ფუტკრები სჭამენ ჩვეულებრივებ მეტ  
 თაფლს, რომელიც გროვდება კუჭში და ასუსტებს  
 აგებულებას. ზამთარში ხმაურობით ფუტკრები არ  
 უნდა გააღვიძოთ, თორემ სიცივეს ოგრძნობენ და  
 ტანის გასათფობად თაფლს დაეძალებიან; საჭმელს,  
 რასაკვირველია, მონელება უნდა, მაგრამ ფუტკარი,  
 სანამ საღათაა, თეისი ნაკელით სკას შიგნით არ გა-  
 აფუჭებს, ვარეთ კი სიცივისა გამო ვერ გამოვა; ჰაერის  
 გათფობამდის ნაკელი ტანში ჩჩება და ახდენს მას.  
 თქვენ ჩშირად შეამჩნევთ ნაერზობის დროს ზამ-  
 თარში, როგორ გაბერილები გამოდიან ფუტკრები  
 სკებიზეან და დიდის გაჭირვებით იწმინდებიან ჰაერში,  
 როგორ ეკიდება მათ უკანა ნაწილშე ძაფიერით ნაკელი,  
 რამდენს ძალაუნებურად აჯენს თოვლზე და იქ საუ-  
 კუნოდ ათხოვებს ამ წუთისოფელს. აგრეთვე გადა-  
 შეტს სჭამენ ფუტკრები თაფლს, როდესაც სცივათ.  
 ძალიან თფილი სკებიც მავნებელია. ფუტკრები ბარ-

ტურქის ხელს მიჰყოფენ იმ დროს, როდესაც გაწევ  
 სიცივეა, ბეჭრ საკეებს იღებენ ავებულებაში ბარტუ-  
 ყებრეათების რძის გასაკეთებლად და მუშაობის დროს  
 გადამეტი მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად;  
 სიცივე მათ გარეთ არ გამოუშებს და ფალარათს  
 უჩნინს.

თუ ილი ამინდები ხშირად ათავისუფლებს მე-  
 ფუტკრეს დარღისა და წამლობისაგან; ფუტკრები გა-  
 მოდიან კარში, იწინდებიან და რჩებიან; მაგრამ  
 მაინც კარგი განსაწმენდელი ნაეარდობის შემდეგ ან  
 სხვა წმინდა სკაში გადაიუფანოთ ფუტკარი და ან ბინა  
 კარგად გაუწმინდოთ, გასერილი უბარტყო ფიჭები  
 გამოაცალოთ, ბარტყიანი კი დანით დაფხიცოთ.  
 სჯობია, ბუდე დაპატარაოთ, ჭურჭულანები დაჭმა-  
 ნოთ, დაუწერილოთ საფრენი თველები და ზევილგან  
 დაათვალით ბალიშით, ანუ ნაბდის ჩაჭერით.

ფალარათისაგან დასუსტებული ფუტკრები დიდნო-  
 ბამდის ეერ ლონიერდებიან; მათ მეფუტკრე უნდა  
 წაეხმაროს ლონიერი სკებიდამ მოხრდილი ბარტყები-  
 ანი ფიჭების ჩამატებით და, თუ ესეც არ შეფარა,  
 უნდა წაართვათ მას დედო და სხვებ გამოიყენოთ,  
 ფუტკრები კი მიუმატოთ სხვა სუსტ სკებს. შემდეგ  
 ამისა სკა და ფიჭებიც გაბანოთ კარბოლის სიმჭავე  
 გარეულ წყალით.

### ფრენის შეუძლებლობა

ეს აფაღმყოფობა ემჩნევა ფუტკრებს ხშირად ნა-  
 გარღობის შემდეგ; მიწაზე სკის წინ დაინახეთ მრა-

ვაღ ფუტკარს ცალკე, თუ გროვად, რომლებსაც არ  
 შეუძლიათ მაღლა ჰაერზი აფრენა. რომ დაუკეირდეთ,  
 აღმოჩნდება, რომ ზოგს დაგლეჯილი აქვსთ ფრთები,  
 ზოგს პატარა, ზოგი კი დარბის მიწაზე დიდი გაბე-  
 რილი მუცლებით. რომლებსაც დაგლეჯილი ფრთები  
 აქვსთ, ბებრებია (როგორც დაკვერჩევებით გაუგიათ,  
 ფუტკარი სცოცხლობს მარტო ჩეა თოვეს, უმთავრესი  
 საწოვერობაზე დიდი მუშაობის დროს ექვსი კვირაც  
 დღია) და მოხუცებულობით კედებიან; ფრთების  
 სიპარაგის მიზეზი ბურნაა. ზოგი ამბობენ, რომ  
 ეს ავათშეოფობა ზოგიერთი ყვაევილების მაწყინარი  
 თაფლის და ყვაევილის ფქვილის ბრალიაო.

ყოველ შემოწვევაში, ეს სენი ძალიან მაზარა-  
 ლებელი არ არის და ადვილად ჰქონდება.

## ფუტკრების მტრები

1, ბურნა ანუ ჩრჩილი.

ბურნას უწოდებენ მეფუტკრები პატარა რუბ  
 პეტელას. მას ადვილად ნახავთ სკის ახლოს ბინდისას  
 ანუ სანთელთან. სანთელს სხვა მრავალი წერილი  
 პეტელებიც ესევა, მაგრამ ყველა ბურნა არ არის.  
 თვითონ ბურნა არაა მავნებელი ფუტკრებისათვის,  
 მხოლოდ მისი მატლებია, ხშირად მომსპობი მოელი  
 სკებისა. ეს მუქთამჭამლები იკვებებიან სანთლით და  
 ფუტკრის ბარტყის კანით, რომელიც მას აჩება ბუ-  
 დეში გამოსცლის შემდეგ. ბურნის მატლები, გამოტ-

ყდებიან თუ პრა კეცისტებიდგან, მაშინევ შეუდგებიან დამაქცევარ მოქმედებას. პირეელად ისინი გააჩინენ ქსელს (ბალეს), რომელსაც ვერ მიეკარება ფუტკარი და შემდეგ დაკეთებენ გზებს (ხერელებს) ფიჭის ძროებში. რომ ბრძოლა მოუხდებოთ, ფუტკრები სჭრიან ფიჭებს მტრებისათვის გზის გადასაჭრელად და ამისათვის ახდენენ როგორც მრავალ ფიჭებს, აგრეთვე ხოცუენ თაეის ბარტუფებსაც და გააქვსთ სკილგან.

თუ გაუჭირდათ ბრძოლა ფუტკრებს ამ მტრებიან, რომელნიც დიღხანს არ უნდებიან მთელი ფიჭები დაქსელონ თაეის ბალით, მაშინ სკას სრულიად სტოკებენ, გამოდიან კარში ნაყარიეით და ეძებენ სხვა წმინდა ბინას.

ბურნის წინააღმდეგი საშუალება ნშირი დათვალიერება სკასა, გამოწმენდა მტვერისა, განსაკუთრებით, დაბნეული სანთლის ქერწლისა, რომელიც ბურნის მატლებისათვის წარჩინებული ბუდეა, გამოჭრა ფიჭის დაქსელული აღვილებისა. ლონიერ ნაყარებს და რიგიანად დაჭმანულს (გავლესილს) სკებს ბურნა სრულიად ეკრაფერს აკლებს.

## 2. მწიფობელა

მასის დამდევიდაც სექტემბრის დამლევამდე ჩევრ ში სცხოერობს ერთნაირი ფრინველი, რომელსაც იმერეთში უწოდებენ მწიფობელას. ეს ფრინველი ფრად მწვანეა უვითელი ზოლებით და გრძელი ნისყარტით, დაურინავს გუნდათ და იკეტება მწერებით. მწიფო-

బ్రెల్డా ఎండ్రోజ్స్ మెట్రోలిక్యూర్స్ డిస్ కొర్పొల్స్ లా కొన్కర్స్-  
 కొన్, గాన్ సాక్షుటిక్యూర్స్ డిస్, నొల్రిం ఫ్లెప్పెశి, సెర్వెల్ గాల  
 సించి ఫ్లూట్క్రూర్స్ డిస్. గాంధీజీకాంగి మెండ్రోల్స్ డిస్ మెండ్రో  
 డిస్, ఎస్ శింగ్ క్రెడాప్స్ మెంకోర్స్ ఫ్లూట్క్రూర్స్ డిస్ క్రెడాప్స్ మెండ్రో  
 డిస్. నొడీల్ గాల్ అమ ఫ్లోస్ వ్యోల్చె ఎల్ క్రెడిక్ ఎడ్జెయ్ క్రొ  
 మిస్, కొమి తాప్పిస్ సెర్వెల్ గాల్ అమ శింగ్ కొమి. క్రెచ్ క్రెచ్  
 సెర్వెల్ గ్రెన్ డాత ర్పుస్ లా అమిసాత్పుస్ ఏర్తి సెర్వెల్ గాల్ క్రెడాడ్  
 డిస్ డ్రెప్రో మొయ్యెల్ డిస్.

### 3. మెండ్రో

మెండ్రో క్రెడ్లి కొఱ్చి, ఎల్ వ్యోద్మా ఫ్లూట్క్రూర్స్ మెండ్రో  
 కొఱ్చితార్ డిస్. మాన్ క్రెల్ డిస్ ఎడ్జెయ్ క్రొల్ మిసాల్పుస్ వ్యోల్ గా మా-  
 క్రెచ్ లా డాసాక్రెచ్రి.

4. క్రూహాండ్రో (భింక్యుడో) లా క్రొం క్రెల్ డిస్ అ  
 క్రెల్ డిస్ క్రెల్ ఫ్లొల్ ఫ్లూట్క్రూర్స్ డిస్ మెండ్రోల్ గాల్, కొసిట్ గాల్ అ మె-  
 జ్యూట్క్రూర్స్ మెండ్రో లా సెర్ప్పెల్ డిస్ మాత, కొమిండ్ గాల్ అ మొస్-  
 క్రెల్ డిస్.

### 5. ఫ్లూట్క్రూర్స్ క్రొల్లి

ఫ్లొచ్ మెండ్రోల్ ఫ్లొల్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్,  
 మొస్టిటాల్ లా ట్రైప్ డిస్ మెండ్రో క్రెల్ డిస్, కొమ్మెల్ డిస్  
 అంగో ఫ్లొల్ ఫ్లూట్క్రూర్స్ క్రెల్ డిస్ అ టాప్చె, ఫ్లొల్ ఫ్లొల్ డిస్ క్రెల్ డిస్  
 గాల్ డిస్ క్రెల్ డిస్ అ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్  
 క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్  
 క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్ క్రెల్ డిస్.

## 6. თ ა გ ვ ე ბ ი

თაგვები დადი მტრებია ფუტკრებისა, განსაკუთ-  
 რებით, ზამთარში. თუ შესავალი იშოვეს, ფიჭებს  
 სრულიად დახრავენ. ზამთრის ძილის ღროს არც  
 თვითონ ფუტკრებს აკლებენ ხელს. ამისათვის მეფუ-  
 ტკრე უნდა სცდილობდეს, რომ თაგვეს სკაში შესავა-  
 ლი არა ჰქონდეს.

## 7. გომფაშო

გომფაშო. ძლიერ მავნებელია ზაფხულის ოფილ  
 ლამებში მიწაზე მდებარე სკებისათვის. სიცხის გამო  
 ფუტკრები გროვად ჩამოეკიდებიან ხოლმე თელებ-  
 თან, გომფაშოები მიაღვებიან და სკამენ მუჭ-მუჭა.

## გონივრული მოვლა ფუტკრისა

რომ დაუკვირდეთ ფუტკრის ცხოვრებას, რო-  
 გორი ბინაც უნდა ჰქონდეს მას, ჩევნ ვხელავთ თაფლს  
 ზევით და ბარტყების ბუდეს მის ქვეშ. მხოლოდ  
 ძალდატანებით შეიძლება ადამიანმა შეანახვინოს მას  
 თაფლი ბუდის გვერდზე ანუ ძირის. ცარიელ ალაგებს  
 მაღლა ფუტკრები სწრაფად აესებენ თაფლით. სიცი-  
 ვებში იგინი ზიან თაფლის ქვეშ, თუ ხელს არ  
 უშლის ამგვარ მდგომარეობას სკის შენობა. ზამთარ-

ში, როდესაც მოძრაობა და გადასცლა ერთი ადგი-  
ლიდამ მეორეზე ძნელია, მაშინ ამგვარი მოწყობი-  
ლობა სკისა მიუცილებელი საჭიროებაა; მათთვის  
თაფლის მოძებნა არაა საჭირო, ღირს მხოლოდ ნელ-  
ნელ იზიონ ზევით ფიქაზე; თაფლიხათვის შორს მოგ-  
ზაურობას ასცილდებიან და აღარ მოსწყდებიან სა-  
ერთო გუნდს ანუ თაფლის ადგილს; სითფო ცხადია,  
ზევით მიღის, რის გამოც თაფლი, გარდა იმისა, რომ  
კარგად ინახება, თხელია და ფუტკრებს აღარ სჭირ-  
დებათ მისი გადნობა.

უნაკლუელო ბინა, რასაკეირველია, იქნება იმის-  
თანა, რომელიც მეფუტკრეს შეუძლია თავისუფლად,  
როდესაც სურს, თაფლის შენობის წაუხდენლად გა-  
დაათვალიეროს, გახილოს, მოუაროს საჭიროების  
დროს. ამისთანა სკაში ადგილად უნდა შეიძლებოდეს  
ყოველი ფიქის ამოღება და თავის აღაგას ჩადგმა.  
როდესაც ამნაირად იქნება ფუტკრების ბინა მოწყო-  
ბილი, მაშინ მეფუტკრეს შეუძლია სთქვას ფუტკრები  
მოვაშინაურე და მათი პატრონი გავხდიო.

### დასაშლელი სკა

დაშლა სკისა შესაძლოა მაშინ, როდესაც ოვი-  
თეული ფიქა (სარაჭა) მოთავსებულია ცალკე ჩარ-  
ჩოში და იმიანად ამოღება. ჩარჩოები სკაში არიან  
მიწყობრლი ერთიმეორენჯ რე, რომ შუაში ფუტკ-

რებს აქვსთ თავისუფალი სასიარულო. ჩარჩოს ზედა თავის სიფართე დამოკიდებულია ფიჭის და ფუტკრების სასიარულო ალაგის (ქუჩის) სიფართეზე. თვით-თვული ჩარჩოს თავის სიფართე უნდა იქმნეს უმეტ-ნაკლებოდ სამი მეოთხედი გოჯისა (ეტროკისა), ამ ნაირი ჩარჩოები ჩაიწყობა სკაში ზევიდამ, ან გვერდი-დამ. როცხი მათი დამოკიდებულია ფუტკრის ლო-ნებე და სიმრავლეზე. ფიჭები უნდა იყენდნ მიმმული შიგნიღვან, ჩარჩოს თავის შუა ალაგას, ამისათვის ხელოვნურს, ანუ ნამდეილ ფიჭას გამდნარი წმინდა სანთლით აკერენ აღნიშნულ ალაგას. თუ ფიჭა არ არის, მაშინ სახაზაერთ წმინდა სანთლის ცრორ ხაზს გაალებენ იმ ალაგას, სადაც უნდათ ფუტკრებს ფი-ჭები მიაბზევინონ და კზას ოლარ შეიშლიან.

დასაშლელი სკები ბევრნაირია. მათ შორის უმჯობესია იმისთანა, რომლის გასინჯვა ერთი შე-სხდევით შეიძლება ბუდის დაუშვერევულად. საქმე იმა-შია, რომ რომელი ჩარჩოც გინდათ, ის უნდა აპო-ილოთ დანარჩენების გაუნძრევულად, თორემ თუ სხევბისაც შენძრევა და გამოლება დაგვჭირდა, ეს ძნე-ლოც იქნება და მავნებელიც.

### დარიგება მეფუტკრეობის დაწევებისათვის

როდესაც მეზობლებს და ნაცნობებს ურჩევ ფუტკრის ვაშენებას, კოველოვის გეუბნებიან: «ვავ-

შენებდი, მაგრამ მოულის არა გამევება რა ა. სა-  
 ჭიროა მხოლოდ ფუტკარი იშოვოთ და მერმე თეი-  
 თონ შეგასწავლის და შეგაყვარებს თავს. ფუტკარი  
 სეთი რამ არის მეუღლეობაში, რომ ყოველმა  
 მუშა კაცია მიუტოლებლად უნდა გაიშენოს. თუ მა-  
 რნ უ მაშინვე ვერ გადაიყენოთ კოდიდგან ჩარჩოიან  
 სუაში, დიდი უბედურება არ მოხდება, უსარკებლოდ  
 მაინც არ დარჩები.

იანეარი და თებერვალი კარგი დროა ფუტკარის  
 სყიდვისათვის. სყიდვის დროს თან იყოლიეთ გამოც-  
 დილი კაცი, რომ სალი და ლონიერი ფუტკარი ამო-  
 არჩიოთ, ლონიერი ფუტკარში მეტოც რომ მისცეთ,  
 ისა სჯობია. წალება შევიძლიათ, როდესაც ჯერ კი-  
 დედი თოველია, თუმცა დაგვიანებასაც არა უშავს-რა,  
 მხოლოდ თავდალმა არ მოგიეიდესთ დადგმა, თორემ  
 ფიჭვები პირშელმა მოვა და წახდემა. შემდეგ ამისა  
 საჭიროა მომზადდეს ნაყრებისათვის ბინები—სკები.

## ორგზარი დასამლევლი სკა

სრულ-თავიანი ჩარჩოები.

როგორც ჩემოთა ესთქვით, ერთი ფიჭის და-  
 საწყისიდამ მეორე ფიჭის დასაწყისამდე საჭიროა სამი  
 მეოთხედი გოჯისა, არც მეტი—არც ნაკლები. ამი-  
 სათვის ყოველ ჩარჩოს უკეთებენ თავის სიფართქს

გოჯის სამ მეოთხედს. ჩაც შეეხება ჩატჩოების ხიდზე  
 ძე-სრმალლებს, სხვა და სხვა ნაირს ხმარობენ. ჩატჩო-  
 ები მეტყობიან ერთი მეორეზედ მჭიდროდ თავებით  
 ისე, რომ ზემოდამ სინათლე არ ჩაეიდეს, მხოლოდ  
 მათ ქეეშ იატაკამდის უნდა იქმნეს ცარიელი აღვი-  
 ლი არა ნაკლები ნახევარ გოჯისა, გვერდებსა და  
 კედლებს შეა კი—არა ნაკლები მესამედ გოჯისა,  
 თუმცა აქ არც დიდი უნდა იქნეს ცარიელი აღავი,  
 თორებმ ფიჭვებს გადააცილებენ ჩატჩოებზე და მიაბმენ  
 კლდ ებზე, მაუცილებელ საჭიროებას შეადგენს კვე-  
 ლა სკეპისათვის მოსარგო ჩატჩოების კეთება; უამი-  
 სოდ შეფურცელება თავის სასარგებლო მიზანს ვერ  
 მიაღწევს. აგრეთვე მჭიდროდ იქნება შეკრული მოე-  
 ლი სკაც, რომ იატაკიდამ, გვერდებიდამ და წინა  
 პირიდამ კურკუტანები და ნაბზრები არ ექმნეს. კე-  
 რის მაგივრად იქმნება ერთი-მეორეზე წაწყობილი  
 ჩატჩოები. ხოლო უქანა გვერდი—შესახევ-გამოსა-  
 ზევი, რომ ჩატჩოების ამოკლება და ჩამატება არ  
 მოგეიშალოს. ძალიან სასარგებლოა ექნეს გამოსა-  
 ლები იატაკი. ეს კარგია გაწმენდისათვეს. წინა კე-  
 დელზე (შუბლზე) დაეტანება ორი საფრენი თეალი,  
 ერთი—შუბლის ფიცრის და იატაკის შესაცროებელ-  
 თან და მეორე ზემოდ. ქვედა საფრენთან უნდა მიაკ-  
 რათ პატარა ფირფიტა ფურცელების - დასაჯდომად.  
 ცეცხლისათვის კი ფიჭვის პირდაპირ. სახურავი სჯობია

უიცრისხდან გაკეთებული, სკის მასალა უნდა იყენე  
ხმელის და იმისთანა მასალიდგან (ხილვან), რომ  
კლება-მომატება არ იცოდეს, მაგალ. რთხმელა, წი-  
ფელა და ალეის ხე.

### ვიწრო თავიანი ჩარჩოები

ამგვარ სკებს ის გარჩევა აქვთ პირეელთან,  
რომ ჩარჩოებს უფრო ეიშრო აქვს თ თავები, საიდა-  
მაც ფიჭები დაიწყებიან, რის გამო მათ შეზრის ფუტ-  
კრებისათვის მაღლა ასაეალი ალაგი რჩება. ეს გარე-  
მოება მეფეუტკრეს ძძლევს შეძლებას ერთი დახედვით  
შეიტყოს ფუტკრის ცხოვრება და ამ მიზნისათვის არ  
აური-დაურიოს ჩარჩოები.

### სათაფლე განეოფილება, მისი მიზანი და მოხმარება.

უმთავრესი საქმე გონიერული მეფეუტკრეობას  
არის რაც შეიძლება ბევრი თაფლის მაღლება, რაისა-  
თების საჭიროა საკმაო მუშა, ფუტკარი გავაშენოთ იმ  
დროსათვის, როდესაც თაფლის უმთავრები საშოუ-  
რობა იწყება, მონაცრის რიცხვი კი შევამციროთ.  
სკაში მეფეუტკრემ არ უნდა დაუკენოს მაშალი ფუტკრის  
ფიჭადა თუ ამას უურავლება არ აქვს მიქცეული,  
დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ იმისთანა მეფეუტკრე

სრულიად უცოდინარია თავის საქმისა, ანუ ზარმაცი. საქმე იმაშია, რომ თუ ფუტკრებს დრო აქცით აშენონ ფიჭები, მაშინ ღონიერი ნაყრები, რომლებსაც ძველი დედო ჰყავსთ (იმ გაზაფხულის გარდა კველა ძველად ითვლება), მონაცერის ციცებს აგებენ, რის გამოც შენდება ურიცხვი მონაცერი ტყუერლა, შემცმელი ფუტკრების ნაღვაწ-ნაშრომისა.

ზემოდ აღნიშნული მიზნის მისაღწევად მეფუტკრები ხმარობენ სხეა და სხეა საშუალებას. სათაფლე განყოფილებას აკეთებენ ბუდის ცალკე, რომ დედოს ნება არ მისცენ მოსცილდეს ბუდეს და სდოს კვერცხი თავის სურეილისამებრ. ხშირად ხდება, რომ სკა ღონიერია, მაგრამ თაფლის საშორენობის დროს მაინც ძლიერ შენდება. ეს ხელს უცარავს თაფლის შენახვას, რაღაც ბარტუები დიდ ალაგს იკავებენ სკაში, ბერ თაფლს ანადგურებენ და ფუტკარსაც ბევრს აცდენენ მოვლის დროს. სკა მანამდის უნდა გალონიერდეს, თორემ ახლა მუშაობა უნდა. დედო რომ სათაფლე განყოფილებაში არ გავიდეს, ხშარობენ ერთგვარ რკინის ცხრილს; რომელშიაც გაეტევიან მარტო მუშა ფუტკრები. ეხლა კველაზედ საუკეთესო განცმანის ცხრილია, რომლითაც ჰყოფენ ბუდის ფიჭებს სათაფლე განყოფილებიდან. ფუტკრები ხედვენ, რომ სათაფლე განყოფილების ფიჭებს დედო კველარ მოიხმარი ბარტუებისათვის და თაფლით ავსევენ. საშორენობის მოსპობის შემდეგ მეფუტკრე სპობის

სათაფლე განყოფილებას და თაფლს, ჩაც ფურცელებს არ დასჭირდებათ საზამთროდ, თავისათვის ინახავს.

## დადანის სტა

გამოჩენილმა ამერიკელმა მეფეტკრემ დადანმა, იმის მიხედვით, რომ ინსტინქტურად ფურცელები თავის საზრდოს — თაფლს აგროვებენ სკის თავში, ე. ი. ზევით, ქვევით კი საბარტყე ბუდეს, მოაწყო საუკეთესო სკა, რომელიც შესდგება ორის ანუ სამის სართულიდგან. ოვითეული სართული შესდგება სწორი ოთხკუთხიანი ყუთიდგან. ერთ მათგანში სკოვრობს ფურცელის ოჯახი; ჩარჩოების თავზე გადაფარებულია ძელი ტილო ანუ სხვა რამე ქსოვილი, რომელსაც დათვალიერების დროს ნელ-ნელ გადაზევენ. თავს ადგია რიგიანად მოხდენილი და მავრად შეკრული თავსახურავი. როდესაც ბუდე გაივხება ბარტყებით და კუერცხებით, ფურცელები გამრჩავლდებიან და თაფლის ზიდეა გაჩაღდება, მაშინ თავსახურავს მოხდიან, საფარს ააცლიან, მის მაგივრად დააფარებენ ცხრილს და შემდეგ ზევიდგან დაადგმენ მეორე ყუთს. ეს ყუთი წარმოადგენს სათაფლე განყოფილებას, ფურცელების ამოსატყუებლად ამ განყოფილებაში ჩადგმენ ერთს ანუ ორ ბარტყიან ფიჭს, დანარჩენს კი ჩაწერაბენ ცარიელ მზა ფიჭებს. აგრეთვე მოიქცევიან მესამე ყუთის დაუგმაზედეს.

თუ საჭირო იქნა. როდესაც თაფლის საშორიმბა გათავდება, მაშინ სათაფლე განყოფილება ისპობა, ჩარჩოებიდგან ფუტკრებს ჩაფენთხენ ბუდეში, თაფლს კი, რაც ფუტკრებს არ დასჭირდებათ, საზამთრიდ შეინახენ.

დადანის მეფეუტკრეობა მოითხოვს სკების უნაკ-ლულობას (ამისათვის ძეირიც არის), დიდ თეალყურისგდებას და მუდამ საფულკრეზე ყოფნას. მეფეუტკრეს არ შეუძლია იქონიოს საფუტკრეები სხვადასხვა აღავას, რადგანაც ერთს ვერ მოხცილდება. ამ შემთხვევაში ერთი საფუტკრე არ მისცემს მეფეუტკრეს ნებას გააშენოს დიდი რიცხვი ფუტკრებისა, თუ არ შემოიღო თესვა სათაფლე მცენარეებისა, რომელთაც უნდა აძლიონ ფუტკარს თაფლი მთელი ზაფხულის განმაელობაში, და არა ერთ რომელიმე ღრის. აღრე გამოზაფხულზე ფუტკარს უნდა განგებ წმევა, რომ აღრევე გალონიერდეს და თაფლის საშორიმბაზე მუშა არ დააკლდეს. ამასთანავე აუკილებელი საჭირო არის მრავალი ხელსამწყო.

ამისთანა მეფეუტკრეობა სახელ დახელოა მხოლოდ ზოგიერთისათვის და არა საზოგადოების უმრავლესობისათვის.

## ლ ა ი ა ნ ს ი ს ს კ ა

დიდმა განთქმულმა და პატივურემულმა ფრანგმა ლაიანსმა სულ სხვა ნიადაგზე დაუყენა მეფეუტკრეობა.

შისმა სწავლაში და გამოცდილებაში უცელას შეძლება  
 მისცა იყოლიოს ფუტკარი სადაც და რამდენიც უნდა  
 იმ დროს, როდესაც სხვა საქმესაც არ მოცდება.

სკები არიან ვრცელი, რომლებშიც ფუტკრები  
 ძირიად წაყრობენ. მათ გაზაფხულზე აძლევენ (აწყო-  
 ბენ შიგ ჩარჩინებით) მხად ფუტკრის ფიჭებს და მით  
 წინათვე სპოზე მონაცრების უბრალო გაშენებას.  
 ბუდისათვის (კედლებისა და ბარტყებისათვის) საჭი  
 რო აღავს სკაში ჰყოფენ დანარჩენი ადგილიდამ  
 ცხრილით, რომ დედო სანაშენო ბუდეს ვერ გაშორ-  
 დეს და მით თაფლის გროვებას ხელი არ შეუშა-  
 ლოს. რადგანაც ფუტკრებს ფიჭის შენება ძალიან  
 ამხნევებს, ამიათვის ცარიელი ადგილიც ბევრი აქვსთ  
 სათაფლე განყოფილებაში, რომ თვითონაც აშენონ  
 ფიჭები. შეიძლება მაშინ მონაცრის ფიჭებიც ჩამოიყ-  
 ვანონ, მაგრამ რადგანაც დედოს იმ განყოფილებაში  
 მსელელობა არ ექნება, მათ ფუტკრები თაფლის  
 ჟურკლად მოიხმარენ. ამისთანა სკებს დიდი მოვლა  
 არ სჭირდება, რადგანაც სრული არიან და სათაფლე  
 განყოფილება არ შეაღვენს ცალკე მოსახსნელ გან-  
 ყოფილებას. სათაფლე განყოფილება კეთდება ჩარ-  
 ჩოებ შუა ცხრილის ჩადგმით, რომელიც შემოდგო-  
 მაზედ შეერთდება ბუდესთან ცხრილის ამოლებით.  
 ამგვარი მეფუტკრეობა მითა ადეილი, რომ მთელს  
 წელიწადში სჭირდება მხოლოდ ორჯერ ნახვა. აპ-

რილში ბინის ცასადიდებლად და შენახულების დასახედავად, შემოღვიმაზე—თაფლის ამოსაღებად და ზამთრისათვის მოსამზადებლად. ეს უკანასკნელი სკა ამით აძლევს მეფეულკრეს ნებას იყოლითს ფუტკარი სხვა და სხვა ადგილებზე და იშსახუროს თვით ბუნება სათაფლე მეცნიერების გაუშენებლადაც.

პირებელად, როგორც ზემოთა ესთქვით, გაისანჯება სკები გაზაფხულზედ იმ დროს, როდესაც ფუტკრებს თორმეტი დღე მაინც უმუშავნიათ გარედ (იმაზე ადრე არ ივარგებს). ყველა ბარტყებიანი ფაჭვები უნდა მიეწყოს სკის ერთ ყურეში იმ რიგზე, როგორც დაგხედათ. ხოლო იქით-აქეთ უნდა ჰქონდეს ცოტაოდენი თაფლიანი ფიჭები. ეს უკანასკნელები წარმოადგენენ თუ ბუნებით კედლებს ბარტყების სიცივისაგან დასაფარავად.

სკის შეორე ბოლოში ჩაუმატებენ ფუტკრის სიმრავლის მიხედვით სამიღამ ხუთამდის ჩარჩოს, რომელზედაც ფუტკრებმა უნდა ჩამოაშენონ ფიჭები. ამ ჩარჩოებს ერთად არ ჩააწყობენ, თითოს სჯგმენ თუ თაფლიან ფაჭის შეუა. ფუტკრებს ძლიერ ეზარებათ ცარიელი ადგილი სავსე ფიჭებს შორის და ცდილობენ გაავსონ. უკან თაფლის გადატანა მითაა კადეკ სასარგებლო, რომ ახალი ფუტკრები დაიწყებენ იქიდამ თაფლის გადატანას ბარტყებისათვის საკვების გახაკეთებლად და ნელ-ნელა გადატანების იქსამუშევრად. ცარიელი ადგილი, რომელიც გადარჩება ბუდესა და

თაფლის ფიჭებს შუა, უნდა ეგრეთვე აივსონ უთაფლო, მაგრამ სრული ფიჭიანი ჩარჩოებით. ძალიან კარგია, სულ ცველა ერთად ჩაწყონ ჩარჩოები, რომლებზე-დაც ფუტკრებმა თითონ უნდა ჩამოაშენონ ფიჭები. ნაშინჯია, რომ როდესაც ბევრ ჩარჩოებზე დაწყებენ მუშაობას ფუტკრები, უფრო ბევრს აკეთებენ, ვინემ თითო—თითოს ჩამატების დროს. ეს იმიტომ, რომ შეწების დროს მუშაობენ ფუტკრების უმეტესი ნაწილი და თუ საკმარი საშენებელი ადგილი არ ექნათ, ტყუილად გაცდებიან.

ოც ჩარჩოიანი სკა, როდესაც თითოს აქვს ჩვა გოჯა სიგრძე—სამაღლე, არ არის ძალიან დიდი კარგ თაფლიან ალაგებში; მაგრამ თუ ადგილი გან: საკუთრებით ძალიან თაფლიანია, ოც-და-ოთხი და და ოც-და-ექვსი ჩარჩო სულ ყოველთვის დასჭირდება.

ზემოდ აღწერილი წესი მოსახდენია სუსტი სკებისათვისაც, მხოლოდ ჩარჩოების რიცხვი მემცი-რებული იქმნება. გაზაფხულზე განხილვის დროს, თუ ფუტკრის ოჯახს აქვს დაბეჭდილი ბარტყებიანი ფიჭები ერთი მეორეზე გამბმული და არა არეულად (მაგა-ლითად, ერთი ფიჭის თვალში კვერცხია, მეორეში იქვე—გამოჩენილი მატლი, მესამეში დაბეჭდილი ბარტყი—პარკი, ან თაფლია, ეს სისუსტის ნიშანია) ამისთანა შემთხვევაში ცოტაც რომ იყოს მუშა ფუტკარი, მაინც საიმეზოა. ზამთრისათვის თუ თითო სკას აქვს არა ნაკლები ოც-და-ათის—უზმოცი გირ-

ვან ქიხა, შეფუტკრე სრულიად უჩრაუნელ ყოფილი შეიქნება შესახებ მათი საკედისა. თაფლის ამოღ-ბის დროს უნდა მოისპოს სრულიად მონაცერის ფი-ჭები, რომელიც გადაღნებიან სანთლად და გაიც-ვლებიან ხელოვნურ ფიჭაში, თუ თერთონ არა გაჭესთ მათი საკეთებელი მანქანა.

### რამდენად სასარგებლოა ხელოვნური ფიჭა.

თუმცა ფუტკრები უჩენენოდაც აკეთებენ ფიჭებს, მაგრამ მოხმარება ჩვენის მხრით ღიღი სასარგებ-ლოა.

როდესაც ფუტკრები თავის ნებაზე მუშაობენ, აგებენ ბრაეალ მონაცერის ფიჭებს და მით გამოჰყავსთ ურიცემ მუქთა მჭამლები; ისინი არ ფიქრობენ მო-ამზადონ თაფლისათვის ალაგი წინ-და-წინ და დაწ-კებენ მუშაობას მაშინ, როდესაც თაფლი უნდა ზიღონ, ასე რომ ჰყარენ უძეირუასეს დროს; უაღ-ლობისა გამო დაუარიელებულ ბარტყების ბუღებს გააქსებენ თაფლით და შესწუებულ ბარტყობას. ან და უაღილო ეიწროობისა გამო ნაყარიგავა სკიდამ, რომელიც სასარგებლო არ არის.

როდესაც ხელოვნური ფიჭები წინ-და-წინ ექვსთ ჩაწყობილი, ფუტკრები ასწორებენ და მეტის სიჩქარით აშენებენ (ასრულებენ); ხელოვნური ფიჭა წარმოგვიღენს ჩეენ მუშა ფუტკრის ფიჭების დასაწ-

ყისს და ამისათვის მონაცემისას ველაზ გააკეთებენ.

უკანასკნელი დასკვნა ლაიანის მეფეტკრეობისა შემდეგია: რომ ერთია და იმავე დროს მივიღოთ ჩერნ ცოტა ნაყრები, მჩავალი თაფლი და ახალი სანთელი, აუცილებლად საჭიროა დიდი, სიგანეზედ დადგმული ხეა, რომელიც ერთბაშად უნდა იტევდეს საჭირო ფიჭებს, რომ სიერწროეისა გამო დედოს კვერცხის დებაში ხელი არ შეეშალოს, საკმარისი უნდა იქნეს ფიჭები თაფლის შესანახავად და, დაბოლოს, უნდა იქნეს ცარიელი ფიჭებიც, რომ ახალგაზიდა ფუტკრებს შეეძლოსთ აშენონ ახალი ფიჭები, როდესაც ესაჭიროებათ და სურსთ.

### სურვა ფუტკრისა

ფუტკაზი შეგიძლიათ იყიდოთ თუნდ უბრალო კოდით ანუ რაფით, თუნდ ნაყრით, უკანასკნელი უმჯობესია.

### ნაყრის სურვა

თუ გაქვსთ შემთხვევა იყიდით ახალი ნაყარი, რომელიც ჯერეთ არ ჩაუჯენიათ სკაში და მხოლოთ მიხეეულია ჩამეზე, ანუ სანაყრეშია ჩასმული, მაშინ მისი ჩაჯენა ჩარჩოიან სკაში ძალიან უბრალო საქმეა, ამისათვის საჭიროა ამოვაკრათ ჩარჩოებს ხელოფნური ფიჭა ანუ ნამდვილი ფიჭის ნაჭერი, თუ ეს არ

არის, მაშინ სანთლის ღვენთით უნდა სწორი ხაზი გააელოთ ჩარჩოს თავი და შუაზე სწორედ და ჩაწყოთ სკაში, არა ექვსზე მეტი რიცხვით. შემდეგ შეუშეათ შიგ ნაყარი თავის დედოიანა. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ნაყარი არ გაიქცევა. ნაყარი გაიქცევა მაშინ, თუ სკაში ცუდი რამე სუნი სდის ან თუ ნაყარი მეორე-მესამე პირია.

ნამდევილი ფიჭა შეგიძლიათ იშოვოთ მეფუტკ-რებიდამ, თუ თეითონ არ გექნებათ. ფიჭა არ უნდა იქნეს ძალიან ძველი და არც ძალიან ახალი. გადააბრუნეთ ჩარჩო პირშელმა, დაასხით გამდნარი სანთელი მაღლა თავზე შეინიდგან (ახლა ის თავი ძირსაა) და მაშინვე დაადევთ ზედ; როდესაც სანთელი გაცემდება, ფიჭაც მიკრული იქნება და არ აგჯება გადმობრუნებაზე. ეცადეთ ჩარჩოზე ფიჭა სწორად დაეკრას, თელები, როგორც ბუნებითაა, ზეეით უნდა ჰქონდეს მიქცეული და არა ქვევით, თორემ თაფლი გამოილერება.

ამგვარათე მოეიქცევით ხელოუნური ფიჭის მიკერაზედაც, მხოლოდ დაესჭრით მათ, თუ ფართევებია. ერთის ანუ ორი გოჯის მეტი არ არის საჭირო თითო ჩარჩოზე.

### სუიდვა ფუტკრისა როვით ანუ კოდით

როვით სუიდვა ფუტკრისა აღეილია, მაგრამ იქიდამ უუტკრის გადაყვანაა ძნელი ჩარჩოიან სკაში.

გადაყვანა ანუ გადადენა ფუტკრისა მოხერხდება ბევრ ნაირად. ჩვენ ვუჩჩევთ იზმარონ შემდეგი, ძალიან გაერცელებული წესი.

გადასაყვანად საჭიროა ყოველთვის იქმნიოთ ორი როვი ღონიერი ფუტკრის ოჯახით; უნდა იქნეს მშენებელი თვეული დღე, ჩვენს მხარეში აპრილში და მაისში; ორი კაცი საჭიროა, დაიწყეთ მუშაობა არა ადრე თორმეტის საათისა დღისით.

ჯერეთ მოამზადეთ ჩარჩოიანი სკა, რომელშიაც უნდა გადაიყვანოთ ფუტკარი. თუ მოხერხდეს მოამზადეთ ჩარჩოები ნამდვილი ფიჭით საესე, თუ არა, სამი თუ მეტი ნახევრამდეს მაინც ჩაკრული ხელოვნური ფიჭით.

შემდეგ დაინიშნეთ საფრენი თვალის სიმაღლე როვზე, სადაცა სდგას. გადარტანეთ როვი სხვა ადგილას საღმე ჩრდილში ხუთმეტი საენის სიშორეზე; აქვე მოიტანეთ ჩარჩოიანი სკა. სადაც როვი იდგა, იქ დადგით დროებით ცარიელი ყუთი მუშაობიდგან დაბრუნებული ფუტკრებისათვის. თუ ასე არ ჰქენით, უკანასკნელნი დაიკარგებიან, ან სხვა სკებთან ჩხუბს გამართენ.

როვი გაამაღლეთ რაზეღმე მაღლად, უხრჩოლეთ კომლი და ძირიდგან მოაძვრეთ ძრო. თქვენ ძირიდგან დაინახეთ ჩამოკიდებულ ფიჭებს, თითქმის ცარიელს, რადგანაც ფუტკრები კომლისაგან შემალული იქნება შენობის სათავეში. მიაჭირით რამო-

დენიმე ფიჭები თავამდის. მუშა ფუტკრის ფიჭები ჩარჩოებში გაამაგრეთ ტკეჩებით, რომ არ გამოცვიდეს, მონაცრის კი არ გარგა. თუ ფუტკრის ბარტყები შეგხვდეთ, ისიც ჩააკარით. ხშირად მეფუტკრეს ამისთანა შემთხვევაში დასჭირდება პირზედ ჩამოსაფარებელი (პირბაზე), რომელსაც უველა თვითონ ადვილად გააკეთებს. იყიდეთ წმინდა რკინის საცერი პირის სახეს რომ ეყოს და გარეშემო ტილო შემოაკარით, რომ თავზე ჩამოიცეათ.

ამნაირად გამართული ჩარჩოები ჩააწყეთ სკაში და დაახურეთ თავი, რომ ბარტყები არ გააციოთ. აგრეთვე მიადგით ძრო როვსაც, როვორადაც იყო. როდესაც გაათავებთ ამ მეშაობას, გადააბრუნეთ როვი ისე, რომ ფიჭები ზევით ექნეს აშეერილი, უხრჩოლეთ ცოტაოლენი და მერმე დაუწყეთ ნელნელა ორი ჯოხით რაკუნი. ერთ წამი რომ ურტყაო ჯოხი, ხუთ წამს შესჩერდით, რომ სამგზავროთ მოეწყონ ფუტკები ე. ი. თაფლი მოიგროვონ ჩინჩახვში. შემდეგ დაიწყეთ ისევ რაკუნი და გააკრძელეთ 10 – 12 წამს. როდესაც ამას გაათავებოთ, მოხსენით ძრო, რომელიც ეხლა მაღლა არის და დაინახავთ, რომ ფუტკრები ზევით მოგრავილან ერთად. მაშინ ფრთხილად გადაიყენეთ კოვზით ფუტკრები, რაც მოხერხდეს ჩარჩოიან სკაში და თვალი ადევნეთ დედოს.

სკის შესავალ თვალს მიუღვით ფიტარი და ზედ

დააფინეთ ტილო. კოვზით დაპყარეთ ხოლმე ზედ  
 ფუტკრები, რომლებიც ცხვრებივით გეშურებიან  
 თველისაკენ. ამ ღროს დედოს დანახვა ძნელი არ  
 არის. თუ არ გამოჩნდა დედო, ისევ იმ წესზე უნდა  
 დაუწყოთ რაკუნი და რამდენადაც შესაძლოა სულ  
 გამოდენოთ ფუტკრები, სანამ დედოს არ ნახავთ.

როდესაც დედო ნახულია და ჩამომსხდარი ჩარ-  
 ჩოიან სკაში, როდესაც მასთან გადაყვანილია უმრავ-  
 ლები ნაწილი ფუტკრისა, მაშინ დახურეთ სკა და  
 გადაიტანეთ იმ ადგილს, სადაც ღროებით დასდგით  
 ცარიელი. ამასთანავე საფრენიც იმ სიმაღლეზე დაუ-  
 ტანეთ, რამოდენზედაც როფს ჰქონდა. თუ სხვანაი-  
 რად დასდგით სკა, ფუტკრები დიდხანს იწვალებდნ  
 და ვერ მიაგნებენ თავის ბინას. ცარიელ სკაში შეს-  
რული ფუტკარი უნდი ჩაპყაროთ ჩარჩოიანში.

როფი, რომლიდგანაც ფუტკრები გადმოდენეთ,  
 წაილეთ და დასდგით მეორე ლონიერი როფის ადგი-  
 ლას; ეს უკანასკნელი სხვა ადგილას უასდგით, გა-  
 მაგრეთ კარგად და მიეცით ფუტკრებს წყალი.

რა მოხდება ამგვარი ადგილის შეცვლით? —  
 ჩარჩოიან სკაში იქნება დედო, ახალგაზრდა და მუშა,  
 ფუტკარი ახალ ბუდეზე. დედო დასდებს კეტრცხებს  
 და ნაყარი იდლებრძელებს. როფი, რომლიდგანაც  
 გამოდენეთ ფუტკრები, დაობლდება, მაგრამ როდე-  
 საც თქვენ მას მეორე ლონიერი როფის ადგილზე  
 დახდგამო, გაღონიერდება მისი მუშა ფუტკრით. ფუ-

ტკრები შეხედვენ, რომ დედო აღარა ჰყავსთ და გა-  
 მოიყვანენ ახალს. მეორე როვი, სხვა ადგილზე გა-  
 დატანილი, დაპარგავს თაფლის მომტან ფუტკარს,  
 მაგრამ შიგ დაჩიხება ბარტყი, ახალი ფუტკარი და  
 დედო; მალე გალონიერდება და თაფლის მომტანიც  
 გაუჩინდება, მხოლოდ პირეელად წყალი თუ არ შე-  
 უდგით შიგ როვში, არ ივარებს; წყლის მომტანი  
 ფუტკარი ჯერ-ჯერობით არ ეყოლებათ და უწყლო-  
 ბისა გამო ახალ ბარტყებს გამოსწონიან. ჭურჭელში  
 ჩატყარეთ, რომ ფუტკრები არ დაიხრიონ და  
 ისე შეუდგით.

ოცდაერთი დღე რომ გაეიდეს, ნახეთ როვი,  
 რომლიდგანაც გადმოდენეთ ფუტკარი. მას ეყოლება  
 ახალი გამოტეხილი დედო. წინანდელი დედოს კვერ-  
 ცხებილგან უკვე გამოსული იქნებიან უკელა და ახალს  
 კი ჯერ არ ექმნება დადებული კვერცხი. ეხლა თა-  
 ვისუთლად შევიძლიათ გამოსჭრათ უკელა ფიჭები და  
 როგორც თაფლით, ისე სანთლით ისარგებლოთ,  
 ხოლო ფუტკრები დედოიანად გადაიყვანოთ სხვა  
 ჩარჩოიან ცარიელ სკაში, რომელშიდაც იქნება მიუ-  
 ცილებლად არა ექვსზე მეტი ფიჭიანი ჩარჩოები. ერთი ჩარჩო უნდა იქნეს ლონიერი სკიდამ გადმო-  
 ტანილი დაბეჭილი ბარტყებიანი ფიჭით. რამოდე-  
 ნიმე დღეში სკა გალონიერდება, დედო დაიმამლება  
 და დაიწყებს კერცხის დებას. ახალ სკას საფრენი

თეატრი უნდა იმ ადგილას ევ ექნეს, თორემ ფუტკრები და იკარგებიან.

ამ სახით, ორი როტიდამ თქვენ მიიღეთ ორი ჩარჩოიანი სკა, თაფლი და სანთელი მთელი როტის და ერთიც კიდევ მთელი როტი დაგრჩათ.

ამისთანა გადაუყანა შეიძლება გარტო ლონიერი სკეპტიდგან, სუსტები არაუერ ხეირს მოგცემთ.

### გამრავლება.

გამრავლება ორ ნაირია: სკის გაღონიერება ფუტკრითა და გამრავლება ოჯახების რიცხვისა. პირველი დამოკიდებულია დედობზე, რომელიც სდებს საბარტუე კვერცხებს, მეორე კი წარმოსდგება მაშინ, როდესაც სკა ბუნებით, ანუ კაცის შემწეობით იყოფება რამოდენიმე ნაწილად ისე, რომ თეითეული ნაწილი იწყებს თეით-არსებობას. თუ ესეთი ნაწილი ოჯახისა თეით, ძალდაუტანებლად დასტოვებს სკას სხვა ახალი ბინის მოსახებნად, მას ეძახიან ბუნებით ნაყარს, თუ მეფუტკრემ გაჰყო—ხელოვნურ ნაყარს. როდესაც სკა ლონიერია და ნაყარს ადრე იძლევა, ამით მეფუტკრე თავისუფალი ხდება, მაგრამ ბუნება ჩვენს ნებაზე არ დაიარება, ხელის შეწყობა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც მიუტილებელი საჭიროა, რომ დროზედ და რიგიანი ნაყრები მიეიღოთ.

უჩარჩო სკეპტის ხელის შეწყობა, რომ რიგიანი

ნაყრები მიეიღოთ, უფრო საძნელოა მეფეურკარები-  
 სათვის. მას შეუძლია მხოლოდ, როდესაც ამიდები  
 გათვება, თხელი (წყლიანი) თაფლის ჭმევა დაუწყოს  
 უოველ მესამე საღამოს. ამის შედეგი ის იქნება, რომ  
 დედო აღრე კვერცხის დებას მოუმატებს და სკა აღ-  
 რევე გაღონიერდება. თაფლიან სკებს ჭმევა არ უნ-  
 დათ, მხოლოდ ამისთანა სკები უნდა გახსნათ, თაფ-  
 ლიან ფიჭებს თავები გადაფხიკოთ და თაფლი გამო-  
 აჩინოთ. ამ მოქმედებას ისეთივე შედეგი ექნება,  
 როგორიც ჭმევას.

### ბუნებითი ერა

ბუნებითი ნაყრები უნდა ჩასეათ სკაში ისე,  
 როგორც დაიჭრეთ. ეს შეეხება, რასაკვირველია,  
 ღონიერ ნაყრებს, თორემ სუსტები, მაგალ., მეორე  
 და მესამე პირი, ხშირად ერთად უნდა შეერთდენ.  
 შეერთება სჯობს მოსაყარ ჭურჭელშივე და მერმე  
 სკაში ერთად ჩაისმის. ცხადია, რომ იაყრის ჩასმა  
 აჯობებს ცოტად შაინც ფიჭიან სკაში. ამასთან სა-  
 ჭიროა სახეში ვიქონიოთ, რომ შეერთებულ ნაყრებს  
 უფრო ერცელი ბინა ექმნესთ, რამოდენიმე თავ-  
 დაუკერავი თაფლით და თუ შესაძლოა, ბარტყებიანი  
 ფიჭის ნაყრით, რომელიც შეიძლება ჩაეცრას სხვა  
 ფიჭაში, რადგანაც ამგვარი ნაყრები ხშირად ჰქარგვენ  
 დედოს. უკანასკნელ შემთხვევაში ნაყარი გაიჭევა,

თუ არ იქნა კვერცხები, ანუ თავდაუხუჩავი ბარტყე, რომელსაც ფუტკრები აროდეს არ მოსცილდებიან და რომლიდამაც დედოსაც ადეილად ჭამოიყვანენ. შაგრამ ჩასმა ლონიერი პირველი პირის ნაყრისა მზა ბულეში, როგორც გამოცდილება გვარიგებს, არ არის სასარგებლო, რადგანაც ის მაღვე მრავლდება და, ადეილი შესაძლებელია, იქიდამაც იყარიოს. ამისთანა შემთხვევა საზარალოა, რადგანაც არც ნაყარი იყარ- გებს და სკაც დასუსტდება. უმჯობესია მათ მიეცეს მხოლოდ დასაწყისი შენობისა და დანარჩენი თვი- თონ გაკეთონ.

ხეზედ მიხეეული ნაყარი უნდა მოყაროთ ჯე- რეთ სანაყრეში. სანაყრეს მიაღვამთ ძირიდგან მიხ- ეულლ გუნდს და მერმე ლონიერად დაჰკრავთ (ლან- ძრეთ) ტოტს, რომელზედაც ზის ფუტყარი, — მთელი გუნდი შიგ ჩასცეიდება. პირველად აიშლებიან, მაგ- რამ მაღვე შევლენ ისევ შიგ და დამშეიდ უებიან. თუ მოხერხებულ ადგილზეა ნაყარი, შეიძლება პირდაპირ სკაშიც ჩაჰკაროთ და მერმე, სადაც გსურათ, იქ დასდგათ. როდესაც ნაყარი ისე მოუსერხებელ ალაკას დასჯდება, რომ სანაყრეში ერთნაშად ჩაქრა არ შეიძლება, მაშინ სანაყრეში ჩაჰკრაან კოვზით რამდე- ნიმეს და იქვე დაჰკრადებენ; დანარჩენიც მაღვე შეგ შეეა, მხოლოდ ცოტა კუმლი უნდა უხრიულოთ, ააფრინოთ სილით, ანუ ფხეიერი მიწით. უმჯობესია მოიქცეთ ასე: ფოთლებიანი ტოტი, თუ ბალახი ას-

ხურეთ თხელი თაფლით და ჩამოვეკიდეთ ნაყარის ახლოს. ნაყარი ზედ ჩამოვეკიდება და შემდეგ ადეილად აიყვანთ.

როდესაც შევასრულეთ ძნელი საქმე—დავიჭირეთ ნაყარი, მერმე მისი სკაში ჩასმა ადვილია. სკას, რომელშიაც ფუტკარი უნდა ჩაესვათ, მოვესნით ზურგის კარს და მივაფენთხო იმაზე ნაყარს სანაყრელამ. შეიძლება ასეც: სკის წინ საფრენ თვალთან გაფინეთ ტილო, ანუ თუ სხვა რამე და იმაზე დაპყარეთ ფუტკარი, რომელიც თავისით ნელ-ნელ შევა საფრენ თვალში. ჩარჩოების სიმრავლე სკაში დამოკიდებულია ნაყრის სიღილეზე, მაგალ., ორ გირეანქა ნახევარზე მეტი თუ არ არის ნაყარი, ჩარჩო თოხზე, ანუ ხუთზე მეტი არ ვარგა და თუ მეტია, შეიძი და რვაც ჩაიდგმის.

ძალიან სასარკებლოა სუსტი ნაყრის დროს მოიქცეთ ასე: ნაყარს, რომელსაც ცარიელ სკაში ჩაჲყრით, დასდგამთ ძეელის აღვილზე, საძამაც იყარა. ძეელს კი რომელიმე ღონიერი სკის (რომელიც ნაყრის გაშევებას ას აპირებს) ალაგას დაძგამო, უკა. ნასკნელის ახალ ადგილს გადაიტანთ. სუსტი ნაყარი გაღონიერდება მუშაობიდამ დაპრეცეპული ფუტკართ, ნაყრის გამშევები მიიღებს სხვა სკის მუშა ფუტკარს, უკანასკნელი კი, თუმცა ამოდენიმე დღეს მუშაობას შესწუვეტს, მაგრამ მალე გაღონიერდება, თუ სკაში წყალს მასცემთ ჭროჭლათ.

რამოდენიმე დღის შემდეგ სკას ნახავთ. თუ იატაკზე სანთლის ქერწლი იქმნეს დაბნეული, მიხვდით, რომ სკაში სიცივეა, ერთი თუ ორი ჩარჩო უნდა ამოაკლოთ და სკა დაჭმანოთ, ნაბზრები აულესოთ.

### ხელოვნური ნაუარი

ხელოვნური ყრა ფუტკრისა ძალიან გამოსადევი და საყურადღებო საქმეა მეფუტკრისათვის; მაგრამ ამას უნდა კარგი ცოდნა ფუტკრის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებისა, თორებ უიმისოდ ბევრს ვერას ისარგვბლებთ და ბევრსაც იზარალებთ. ხელოვნური ნაყრებისათვის არ დაგვჭირდება ხეებზე პოტინი, როგორც გვჭირდება ხშირად ბუნებითი ნაყრების ტასა-პერად. ამასთან ხელოვნური ნაყრები სკას არა სტავებენ. ხელოვნური ნაყრები შეგვიძლია გავათავთ უმთავრეს საშოგრობის ღრომდე. არ გვესაჭიროება ყარაულობა, რომ ნაყრები არ დაგვმარგოს.

თუ ოჯახი ფუტკრისა ლონიერია, ყოველთვის შეგვიძლია გავყოთ. კარგია გასაყოფად ის ოჯახი, რომელშიაც ბუდეს ქვეშ მრავალი ფუტკარი ჰყიდია გუნდათ და აქვს მონაცრის დაბეჭდილი ბარტყე.

ხელოვნური ნაყრის კეთება ბევრნაირია, მაგრამ აქ ჩენ ავსწერთ, რომელიც უფრო საუკეთესო და სასაჩველოა.

## ახალშენი ფუტკრის გადასახლება

ახალშენი ფუტკარი ე. ი. ჯერ გარედ გამო-  
 უსვლელი და ტყე-მინდერებში უმუშევარი, ბარტყით  
 და კვერცხით გაღა ახლდება ამნაირად: წინ და წინ  
 დაიჭირენ დედოს და ჩასმენ გალიაში, რომელიც აც  
 გამოსაეალ პირს აუგლესენ, სანთლის თხელი ფურც-  
 ლით, მხოლოდ დაუტყენებულ დედოს ჩაჯერენ (ჩაკვრენ)  
 მომზადებულ ცარიელ სკის სათავეში ლრ ცარიელ  
 ფიჭის შუა. იქვე ჩაეკერის ბარტყებიან ფიჭის ნაჭე-  
 რი. შემდეგ ამისა ეს დედობინი ცარიელი სკა უნდა  
 დასდგათ იმ სკის ადგილას, საიდგანაც დედა გამო-  
 იყენეთ, უკანასკნელი კი სხვა ლონიერ სკის ადგი-  
 ლას, თვითონ ეს უკანასკნელი დაიდგმის ახალ ად-  
 გოს. ძელი ფუტკრები (რომელნიც გარეთ მუშა-  
 ობენ), წავლენ თავის ბინაზედ, საღაც ეხლა მარტო  
 მათი დედოა ცარიელ სკაში, გაანთავისუფლებენ  
 (გამოსჭრიან) მას გალივდგან და შეუდგებიან. ახალი  
 ბუდის კეთებას; დაობლებული სკა გამოიყენს ახალ  
 დედოებს და რაღვანაც მან მრავალი მუშა ფუტკარი  
 მიიღო სხვა ლონიერი სკიდგან, ადეილი შესაძლებე-  
 ლია, გამოუშეებს მეტუმეტე ანუ მეთექესმეტე დღეს  
 ბუნებით ლონიერ ნაყარს (ეს იქნება მეორე პარი).  
 მესამე სკას კი, რომლის აზგილას ეს დაიდგა, უნდა  
 მისცეთ რამოდენიმე დღეს წყალი ჭურჭლით, რად-

განაც გარეთ მუშა ფუტკარი ჯერეთ აღარ ეყოლება.

ახალშენის გადასახლება შეიძლება კიდევ თავის დედოიანა, მხოლოდ, მაშინ ძეველ სკას უნდა მიესცეთ სხვა დედო (სხვა სკიდამ აშუ განგებ მომზადებული). უკანასკნელ შემთხვევაში დედო სრულიად დამწუცდეული უნდა იკვეს ორ-სამ დღეს და მერმე სანთლით უნდა აუგლისოთ პირი, თორემ თუ მალე გამოიყენეს გალიიდამ, მოკელენ; ფუტკარები უნდა შეეჩერიონ მას და თითონაც სკის სუნი უნდა მიიღოს. საჭირო არის ამისთანა ნაყრებისათვის, რომ ახალი სკა ძეველს წაგავდეს შეხედულობით და საფრენი თვალიც იმ აღაგას ჰქონდეს, თორემ მრავალი გაფრინდებიან სხვა სკებისაკენ და დაიკარგებიან, ან ჩხეუბს გამართენ.

ახალშენის გადასახლება შეიძლება კიდევ მესამე ნარად. დედოს დაიჭერენ და ჩასმენ ახალ ცარიელ ფოჭებიან სკაში. ძეველი სკიდგან ამორლებენ თითო-თითო ჩარჩოს და უკელა მასზე მჯდომარე ფუტკარებს ჩაცოცხლენ (ჩაყრიან) ახალ სკაში, შემდეგ ჩარჩოებს თავისავე აღაგას ჩასდგმენ. როდესაც ახალ სკაში ჩაცოცხლენ უკელა ჩარჩოებიდან ფუტკარებს, მერმე ამ სკას დასდგმენ ახალს ადგილას, აქ ფუტკარები ხელახალ მოსახლობას შეუდგებიან. ძეველ სკაში კი ძეველი ფუტკარი დარჩება (ფუტკარს თუ ერთხელ

მაინც გარეთ უმუშავია, ის ახალ ალაგას არ გაწერ-  
 დება), ბარტყები და კვერცხები, საიდამაც ახალ დე-  
 ლოს გამოიყენენ და შეუდგებიან ხელახალ მოსახ-  
 ლობას.

## შეკრებილი ნაუკრი

თუ მეფეუტკრეს რამოდენიმე ღონიერი ჩარჩოიანი  
 სკა აქვს, მას შეუძლია ნაყარი გააკეთოს ამნაირად:  
 თვეოთეულ ღონიერ სკას მოაკლებს თითო ბარტყიანს  
 და კვერცხიან ჩარჩოს. ამას სკები სრულებით არ  
 შეიმჩნევენ, მხოლოდ ჩარჩოებს დედო არ ცაჰუცეს.  
 ამისთანა ჩარჩოებს ექვს ანუ შერლა ჩასდგმენ ცარიელ  
 სკაში და დასდგმენ ახალს აღვილას. ამისთანა ნაყარს  
 ეყოლება თან გამოყოლილი ახალი ფუტკარი, პარ-  
 ტყი და კვერცხი, რაღანაც დედო არ ეყოლებათ,  
 ახალს გამოტეხენ. მეხუთმეტე ანუ მეოცექვემეტე დღეს  
 ეს სკა გაუშვებს ერთს ანუ ორ ღონიერ ნაყარს.

ამისთანა შეკრებილი ნაუკრი შეიძლება რამ-  
 დენჯერშე გააკეთოს მეფეუტკრემ ერთსა და იმავე  
 სკებიღვან, რაღანაც რამოდენიმე დღის შემდეგ ღო-  
 ნიერი სკებისათვის სრულიად შეუტყობლად შეიძ-  
 ლება ამოაკლდეს კიდევ თითო ჩარჩო და გაკეთდეს  
 ახალი სკები. ოც ჩარჩოიანი სკიღვან, მაგალითად,  
 ერთჯერ გაკეთდება სამი ახალი სკა, რომლებიც  
 ნაუკრებს გაუშვებენ და, თუ მეტი არა, ექვსად მაინც

გარდაიქცევა. ამნაირად შეკრებილი ნაყრები რომ  
სამჯერ გაეიმეოროთ, გაკეთდება თერამეტი ხელოვ-  
ნური ნაყარი, ასე რომ, სკები თითქმის ერთი ორად  
გარდაიქცევა.

## დედოსი მიცემა

დედოსი მიცემა ხელოვნური ნაყრობის დროს  
ხშირად საჭიროა, უდედოდ დარჩენილმა სკამ არ  
იყაროს. მიცემა დედოსი საზოგადოდ ასე ხერხდება: მას  
ჩაჰეჭერენ გალიაში ორი-სამი დღით; როდესაც მას  
ფუტკრები შეეჩვენიან, გააღებენ გალიის კარს და  
მის ალაგას სანთლით ალესვენ, მხოლოდ სანთელ-  
ში დაატანებენ პატარა ჯუჯუტანას; შემდეგ ფუტკრები  
მას თითონ გამოუჭრიან გამოსასვლელ თვალს. თუ  
დედო მოსწონთ, ფუტკრები დედოს ძალიან არ მი-  
ეხევეიან, ფრთები გაშევრილი ექნებათ, რითაც ისინი  
სიამოვნებას ხატვენ. მაგრამ თუ არ მოსწონთ, მაშინ  
გალიას გუნდი მცილროდ დაესვა, თითქოს ზედ შიჰკ-  
დომიან. უნდა იცოდეთ, რომ ფუტკრები ხანდისხან  
დედოს სრულებით ალარ მიიღებენ, თუ მისი მიცემა  
დაგვიანდა და ხადედოვები უკვე დაიბეჭდენ. საზოგა-  
დოდ ახალი დედო უნდა მისცეთ მესამე ანუ მეოთხე  
დღეს ძველის წართმევის შემდეგ.

შეცელა ერთი დედოსი მეორით, მაგალითად, ძეელი უეარგისის ახლით, შეიძლება ამნაირად: ძეელ დედოს დაიჭერენ და ჩაჰეტენ გალიაში, გალიას ჩაჰეტენ იმ ალაგას, სალაც ბევრი ფუტკარი ზის. შემდეგ ერთი დღის ანუ ლამისა მის მაგიერად იმავე დაკეტილ გალიაში ჩასმენ ახალს და ჩასდგმენ იმავ ალაგას; ერთი დღისა და ლამის შემდეგ გალიას კარს ულებენ და ულესევენ სანთლით. როდესაც დედო გამოეიდა, უნდა ნახოთ, მიიღეს თუ არა; თუ არ მიიღეს, იატაკზე იქმნება დავარიზნილი ფუტკების გროვაში.

ხელოვნურ ნაყრებს, რომლებსაც დედო არ გაჰყოლიათ, შეიძლება დედოს მაგიერად მისცეთ მზა, გამოსატეხი სადედოეს ფიჭა, რომ მალე გამოტეხონ ახალი დედო. ამისთანა შემთხვევაში უფრო ძეირად მოხდება მეორე პირი ნაყარი, ვინემ მზა დედოს მიუმის დროს.

## მზა დედო

მზა დედოები შეიძლება იყონ ნაზამორი, პატა-  
 რა სკებში შენახული, მაგალითად ორ ან სამ ჩარ-  
 ჩოიან სკაში თავის ფუტკებითურთ; შეიძლება იმ  
 წლისა, ე. ი. გაზაფხულზე გამოყენილი. ამისთანა  
 სკებში სდებენ თაფლიანს, ბარტყიანს და ცარიელ

ფიჭას; მერმე ჩაყრიან შიგ რამოდენიმე მუჭა ფუტ-კარს, განსაკუთრებით ახალგაზრდას.

საფრენი თეალი სკისა დაიხურება რკინის ბა-ლით, რომ ჰაერი შეუციდეს და დასდგმენ სამი ანუ ოთხი დღით ბნელს ადგილას; ამის შემდეგ დადგმენ საფუტკრეზე ღონიერი სკეპის მოშორებ. როგორც კი გააღებთ საფრენს, ძველი ფუტკრები თავის ბინას მოსძებნიან, ახლები კი დარჩებიან, გამოიყვანენ დე-დოს და დაიწყებენ ოჯახობას. როდესაც გამოტეხი-ლი დედო დაიმამლება და დაიწყებს კვერცხის დებას, მას უკან შეგიძლიათ იხმაროთ, როგორც გინდათ.

როგორ უნდა მოიქცეს მეფუტკრე, რომ, რაც შეიძლება, მეტი თაფლი მიღიღოს.

მ კითხეის ახსნა ადვილად შეუძლია მას, ვინც დაკვირვებით შეისმინა და შეისწავლა ზეფით აღწე-რილი; მაგრამ საჭიროდ ვრაცხთ რამოდენიმე სიტყ-ვით ჩვენვე გამოვხატოთ და განვმარტოთ ამის ახსნა.

გაჩაუხულიდგან, რაც უფრო საშორობა გა-ლონიერდება, დედო თანდათან უმატებს კვერცხის დებას და ოჯახიც ღონიერდება; დაიწყება გამოყენა მონაცერებისა და შემდეგ, თუ ოჯახი გაყოფას აპი-რებს, შეუდგება დედოების გამოყენასაც. პირველად, მართალია, ნაშორება იხარჯება ბარტყების გამო-

საკუებად, მაგრამ მეტაც კი, უმთავრესი ნაშოვრობის დროს, თაფლის მომტანი ფუტკრით ლონიერი ოჯახები იწყებენ თაფლის შენახვასაც, მის ჩასხვას იმ ფიქის თელებშიაც, რომელნიც თანდათან თავისუფლდებიან ბარტყებისაგან. ბარტყობა ამით თანდათან შემცირდება და ბოლოს შემოდგომისათვის საშოვრობის შესუსტებაც და ხითბოს ნაკლულევანებაც სრულებით შეაწყვეტინებს ბარტყობას და ამნაირად ოჯახში დაიწყება მოსვენება.

მაში, ჯერ ბარტყობა უშლის ხელს თაფლის მოგროვებას და მეტაც, თავის მხრით, თაფლის გროვება ასუსტებს ბარტყობას. თაფლი და ბარტყობა ჩხუბობენ ერთი მეორესთან და თუ ბარტყობამ დაძლია, მაშინ თაფლის შენახულობა ნაკლები იქნება, მისთვის რომ ის თითქმის სულ ბარტყობაზე დაიხარჯება, რის გამო შეომდგომისათვის ამისთანა სკებში იქნება მრავალი ფუტკარი და ცოტა თაფლი; თუმცა თაფლის გროვებამ აჯობა ბარტყობას, მაშინ დედოძალუნებურად იბარტყებს ნაკლებად და, ამისათვის, შემოდგომის პირზე სკაში იქმნება მრავალი თაფლი და ცოტა შედარებით ფუტკარი, რაღაც ბევრი ფუტკარი იყარგება მუშაობის დროს, გამრავლება კი ნაკლებია. ცხადია ბევრი თაფლი შეიკრიბება სკაში მაშინ, როდესაც უმთავრესი თაფლიანობის დროს ფუტკრები ბევერია. ფუტკრის ოჯახი, რომელიც ლონიერი იყო

ზაფხულის დამდეგს (თაფლიანობამდის) და არ უყრია, შემოდგომისათვის თაფლიანი იქმნება და ფუტკარიც საკმაო ეყოლება; თავიდგან სუსტი ოჯახი კი ბარტ-ყობას გაჰყება და თუმცა შემოდგომისათვის მრავალი ფუტკარი ეყოლება, მაგრამ თაფლი კი ცოტა ექმნება.

ყრასაც (გამრავლებას) აგრეთვე დიდი ზეღვავ-ლენა აქვს თაფლის მოგროვებაზე. ნაყრებს თან მიჰ-ყვება მუშის ძალა და ამით, თუმცა რამოდენიმე ხანს თაფლის ზიდეა ნაყრის მომცემ სკაში იკლებს, მაგ-რამ მაგირად შესწყდება ბარტყობაც, რადგანაც კვერცხის მდებელი დედო ნაყარის გაჰყეა. მოტანილი თაფლი ამისათვის ცოტა დაიხარჯება. ერთი ნაყრის მომცემი სკა საზოგადოდ თაფლიანია. მაგრამ იმ სკებს, რომლებიც რამოდენიმე ნაყარის გაუშვებენ, შედარებით ცოტა თაფლი აქვთ. ამასთან უნდა შევ-ნიშნოთ, რომ სანამ იყრიდეს, ოჯახი ზარმაცობს და ცოტას მუშაობს.

ამ სახით, თაფლი მაშინ იქნება მრავალი, რა. დესაც ფუტკრები მას მეტს მოიტანენ და უბრალოდ დახარჯვენ ნაკლებს. მაშ საჭიროა, რომ სკები უმ-თავრესი თაფლიანობის დროს იყვნენ ძალიან ღო-ნიერნი, ნაყრობა კი გათავებული იყოს, გარდა ამისა საჭიროა, რომ არ მოშენდეს ბევრი მონავარი—მუქ-თამჭამლები და აგრეთვე არ მოშენდეს ბევრი ფუტ-კარიც.

მონაცერის ნაშენობის შესამცირებლად მეფეტკ-  
 რებ სკაში არ უნდა დააყენოს მონაცერის ფიქები.  
 მთელი ფიქები, რასაკვირველია, ამოილება, მაგრამ  
 როდესაც ფუტკრის ფიქაშია გამორეული მონაცერის  
 ფიქა, მაშინ უკანასკნელი გამოიჭრება და მის მაგივ-  
 რად ჩაჰერდება ფუტკრის ხელოვნური ფიქა. ამაზედ  
 უკეთესი საშუალებაა ძველი დედოს გამოცელა  
 სკაში. ძველი დედო სულ ყოველთვის ფუტ-  
 კრებს სალერდელს უშლის და ეცლება ნაცერით ძველს  
 სკას; ახალი კი დაბადების წელიწადს ყრაზე არ ფიქ-  
 რობს და არც მონაცერებს აშენებს. ძველი დედოს  
 წართმევის შემდეგ მეათე დღეს ნახევნ სკას და ერ-  
 თის მეტს სადედოვებს მოსპობენ, თორებ, თუ დედო  
 ერთზე მეტი გამოტყდა, ნაყარი იქმნება და სკას  
 მეტი ზარალი მოუვა.

რომ უმთავრესი საშორიობის დროს ფუტკრებ-  
 ლონიერი იყენენ, მათ სჭირდებათ ხელის შეწყობა.  
 ჩვენ ვიცით, რომ რაც თაფლის ნაშორიობა მატუ-  
 ლობს, ისე მატულობს ბარტყობაც; ამისათვის ჩვენ  
 შეგვიძლია საჭმელის მიცემით სკები გავაღონიეროთ,  
 რა დროსაც ვეინდა. შეიძლება ფუტკრებს გაზაფხუ-  
 ლისათვის საკმაო ყვავილის ფქვილი არა აქვსთ. იმ  
 შემთხვევაში შეგვიძლია მონაცერის ფიქაში ჩაეყაროთ  
 ფქვილი (კარგი სიმინდის და მუხლებისი) და ჩაეკი-  
 დოთ სკაში; ამასთანავე უნდა მიესცეთ სკაში თხელი

თაფლიც. როდესაც თაფლს წაიღებენ, მაშინ, თუ უქეილი აკლიათ, იმასაც გადაიტანენ მონაცრის ფინიდამ ფუტკრის ფიჭებში ფუტკრის ახლოს. ჭმევა ერთნაირად საჭიროა, როგორც სუსტის, ისე ლონიერი სკებისათვის, ამისათვის რომ ფუტკრებს ეგონებათ საშოკრობა დაიწყოვო და ბარტყობას მოუჩქარებენ. თხელი თაფლი კეთდება ერთი მესამედი თაფლის და ორი მესამედი მღულარე წყლისაგან და მიეცემათ გაციების შემდეგ. საჭმელიან ჭურჭელში ჩხირები უნდა ჩაჰვაროთ, თორემ ფუტკრები დაიხრჩობან. ჭმევა ერთად შეგიძლიათ, გარდა სუსტი სკებისა, გარეუ; სალამოს ქამზედ დაუდგამთ საჭმელს ცოტად მოშორებ და ადვილად მიაგნებენ. სუსტებს კი საჭმელი შიგ უნდა შეუდგათ ლამით. თუ სხვისი სკებია ახლოს, მაშინ ყველას შიგნით უნდა აკამოთ ლამითვე. ჭმევა შეგიძლება როდესაც ამინდები გათბება, სიცივეებში საზარალოა.

უმთავრესი თაფლის საშოკრობის დროს, თუ სკები გათანასწორებული არიან ლონით და ყრა გათვებულია, მეფუტკრე უნდა უკეირდებოდეს, რომ ფუტკრებს საკმარისი ალაგი ჰქონდესთ სკაში თაფლის შესანახავად. ცხელ ამიდებში, რომ არ დასცეთ ფუტკრებს, ყველა თველები უნდა გააღოთ და ჯურჯურანებიც გაულესელი დასტოვოთ. დასაშლელ სკებში ადიდებენ ბუღებს და აღებენ სათაფლე განუოფილებას, თუ აქეს უკანასკნელი სკას. როდებს თაფლის გამოჭრის მეტი არა უხერხდება რა.

რადგანაც ფიჭის შენებაზე თაფლის ზიღვა უფრო სასარგებლოა, ამისათვის ფიჭების წახდენას ძალიან უნდა ვერიცებოდეთ და კარგ საშორობის დროს საქმეში ეხმარობდეთ; ის უნდა ჩაუდგან მაშინ ფუტკრებს და ძალიან აღვილად გაავსებენ თაფლით. ეხლა რადგანაც ბარტყობა სუსტდება და მონაცერის გაშენებაზე ფუტკრები აღარ ფიქრობენ, მონაცერის ფიჭაც გამოსადევია, განსაკუთრებით იმ წლის (ახალი) დედობაზი სკებისათვის.

რომ არ დაამტერიონ და არ წაახდინონ თეიოონ ის ფიჭებიც, რომლებშიაც თაფლი ასხია, მოიგონეს ჯარა (ცენტრობეჭყა), რომლის საშუალებით თაფლი ფიჭისაგან ისე გამოდის, რომ თეიოთ ფიჭის ნაშენობა ჩაიხდა მთელი და ხელახლა შეიძლება ჩაიდგას. ჯარა გამოსადევია მხოლოდ ჩარჩოიან სკებისათვის. ის იმითაა კიდევ სასარგებლო, რომ თაფლის ამოღება შეიძლება ფიჭის სრულიად თაფლის გაესეპამდისაც, რადგანაც ფიჭა არა ხდება. ამით თაფლს მეტსაც ვიღებთ და უფრო წმინდასაც.

უნდა მიეაქციოთ ყურადღება მას, რომ ნაშოვარი თაფლი არ იხარჯებოდეს, როგორც ზემოთა ესთქეით, ტყუალ-უბრალოდ. ის ფუტკრები, რომლებიც დაიბადებან ხუთ კეირაზე გვიან, თაფლის უმთავრესი საშორობის დრომდე, აღარაფერს მოიტანენ იმ წელში, ამისათვის ამისთანა ფუტკრები

ძლიერ არ უნდა გაშენდნენ. ამიტომ თუ სკა თაფ-  
ლის უმთავრესი საშორიობის დასაწყისს საშუალი  
იყო და საშორიობის პირველ დროს სჩანს, რომ  
მასში ბარტყობა ხძლევს თაფლის გროვებას, სჯობია  
წაართეათ მას დედო. ეს დედო გამოდგება ხელივ-  
ნური ნაყრისათვის, სკა კი, სანამ იქ ახალი დედო  
გამოტყდებოდეს, გალონიერდება თაფლით, რაღაც აც  
ხელუხლებლად დარჩება ის საკვები, რაც ბარტყებს  
დასჭირდებოდა. ახალი დედოს ბარტყობას შემდეგ  
დასჯაბნის ბარტყის სიმრავლე.

იმ შემთხვევაში, როდესაც სკა შემოდგომაზე  
უნდა მოისპოს, ე. ი. შეერთდეს სხვასთან, რაღაც  
გამრავლება ფუტკრისა აღარ ესაჭიროებათ — წართმევა  
დედოსი მიუკილებელი საჭიროებაა. აქ ძალიან უა-  
გარიშობა იქნება მეუფრინისათვის, თუ იმისთანა ფუტ-  
კრები გაშენა და იმათზე საკვები დახარჯა, როდე-  
საც ისინი მისითვის საჭირო არ არიან. დედო უნდა  
წაერთვოს სამის ანუ ოთხი კირის წინედ უმთავრესის  
საშორიობის დრომდე. ამ დროს განმავლობაში ყვე-  
ლა ახალი ფუტკრები დაიზრდებიან, ახალი დედო-კი  
ველარას მოასწრებს. მაშინ ფაჭა საკმაო იქნება თაფ-  
ლისათვის, აგრეთვე მუქთამჭემლებიც უორა იქნე-  
ბიან.

თუ ფუტკრებს აღარ ამრავლებენ, მაშინ თაფ-  
ლის სიმრავლისათვის ასე იქცევიან: რაღაც აც

ლი დედო ამრავლებს მონაცენებს — მუქთამჭამლებს  
 და კიდეც ნაყრობას, ამისათვის, დაიწყებს თუ არა  
 ის მონაცრის კეცრცხის დებას გაზაფხულზე, მაშინვე  
 ამოიყვანენ სკიდამ და მოსპობენ. მეფუტკრეს შეუძ-  
 ლია არ უყუროს მონაცრის კეცრცხის ჩადებას, შე-  
 უძლია მას დედო ამოიყვანოს სამის ანუ სამ კვირა  
 ნახევრის წინ თაფლის უმთავრესი ნაშოვრობის  
 დრომდე, მეათე დღეს უნდა გასინჯოს აღნიშნული  
 სკა, რომელშიაც მოსპობს ყველა სადედოვეებს, გარ-  
 და ერთისა, თორემ თუ ერთზე მეტი იქნა სადედო-  
 ვე, ნაყარიც აუცილებელი იქნება. ფუტკრები სკაში  
 ახალ დედოს გამოიყვანენ, ის არც დედოს გაშენებს  
 და არც ნაყარს გაიყვანს სკიდამ. ამით მრავალი  
 ფუტკარი შეინახება სკაში უმთავრესი საშოვრობის  
 დროისათვის და მეფუტკრეც ისაჩინებლებს.

სულ ყველაფერი ეს ითქმება იმისთვისა ადგილებ-  
 ზე, სადაც ზამთრის პირს საშოვრობა არ არის; მაგ-  
 რამ სადაც შემოდგომის საშოვრობაა, ფუტკრის სიმ-  
 რავლებს გაზაფხულის დამლებს არ აქვს ცუდი მნიშვ-  
 ნლობა, მით უმეტეს რომ მონაცრის დროც აღარ  
 არის, ბარტყობა მცირეა და თუ თაფლის საშოვრობა  
 კარგია, უჰქველია მრავალი შეგროვდება.

**თაფლის მომცემლობა ადგილისა.**

უპირველესი მნიშვნელობა მეფუტკრეობაში უკა-  
 ვია ადგილს, სადაც გამართულია საფუტკრე. რადგა-

ნაც ფუტკრები თაფლის მასალას ჰქონდება მცენარეებიდამ, ცხადია, რომ თუ თაფლი არ არის ტყე-შინლერებში, არ იქნება არც სკეპში. თუ რომელიმე ადგილას ფუტკარი იმაზედ მეტი იქნა, რაც ბურებაში თაფლი მოიპოვება, რასაკეირველია მეფუტკრესარგებლობის მაგივრად იზარალებს. ამისათვის მეფუტკრემ ძალიან კარგად უნდა იცოდეს ადგილის მდგრამარეობა და იმის შესაფერად ამრაელებდეს ფუტკარს. თაფლის მომცემლობა კარგია იმ ადგილებში, სადაც თაფლის ხები, ჩირგვები და ბალახებია და მომცემი თესლი.

### თაფლის ამოღება

თაფლი უნდა ამოღილოთ თაფლის საშოურობის გათავებისას. ყოველს შემთხვევაში, ის არ უნდა გადასდოთ აციებამდის, მისთვის, რომ ფუტკრები ველარ მოასწრებენ რიგიანად მოწყობას ზამთრისათვის და ცუდათ იზამთრებენ. ჩვენი უბრალო მეფუტკრეები ან გამოსჭრიან თაფლს ქვევიღვან შუამდის, ან სულ დამსებენ (მოჰკელენ) ოჯახს ძირიანად წყლით, თუ გოგირდის სუნით, — თაფლს, ბართყებს და მკვდარ ფუტკრებს ერთად ჩაჰურიან ქვაბში. გამოჭრა თაფლის არ არის კარგი, მაგრამ ბევრად სჯობია სულ დახოცეას. ეს უკანასკნელი ნამეტან ბარბაროსულ ჩეულებად უნდა ჩაითვალოს და ძლიერ საზარალოა პატრიონისათვის.

გამოჭრა არ ვარგა იმისთვის, რომ საუკეთესო შენახულება ფუტკრებისა არის სკის სათავეში, პატ-რონი კი აქრის ქვევიდგან ნახევრად ცარიელ ფიჭებს, ნაბაჩრევეს და შეას.

დახოცვა ფუტკრისა უგონობაა და სიბრივვე მარტო იმისათვის კი არა, რომ სწყდებიან ფუტკ-რები და ბარტყები, რომლების გაზრდაზე მრავალი თაფლი დაიხარჯა რუსულ-უძრალოდ და რომლებიც არ უნდა გაეშენებიათ მაინც. აგრეთვე არ ვარგა მისითვისაც, რომ მკედარი ფუტკრიანი და ბარტყიანი თაფლი წამხდარია და ჰყარგავს თავის ფასს. ცხადია, უფრო სასარგებლო იქმნება პატრონისათვის, თუ მას თაფლისათვის ფუტკრის დახოცვა სურს, მას საშოუ-რობის დრომდე წაართვას დედო და როდესაც სკაში ბარტყები აღარ იქნება, გამოდენოს იქიდგან ფუტკა-რი და სხვა სუსტ სკას მისცეს, თაფლი კი თვითონ მოიხმაროს. რომ სხვა სკებსაც არ შეაფაროს ეს ფუტკარი, მაინც ასე აჯობებს, მით თაფლი მაინც არ წახდება!..

დასახსნელ სკებში, რასაკეირველია, ადვილია თაფლის ამოღება: რომელი ფიჭებიც გვხურს, იმას ამოვაცლით. ბევრი თაფლის ამოღება, რომ ფუტკ-რებს საყოფი საკებები არ დარჩეს, არ ვარგა. ამისათვის საჭიროა ეიცოდეთ სკი: იმისმე ფუტკრების ჩა-ჯენამდე. სკები უნდა აწონოთ მშრალ ამიდებში.

## ზამთრობა

არ არის საჭირო ჩეენ თფილ ქვეყანაში ზამთრობის დროს ფუტკრები მოსცილდნენ იმ ალაგს, საღაც ზაფხულში იყენენ. თუ სკები რამოდენიმედ სქელი მასალიდგანაა გაკეთებული, ცივი ქარების დროს გვერდებიც დაგლესილი აქვთ და თვლებიც სულ ყველა არა აქვთ გაღებული, სიცივისაგან დაფარული იქნებიან. საფრენი თვლების პირზე მიაფარებთ რამეს ისე, რომ ქარმა თავისუფლად არ დაიწყოს რბენა (სულ დაჭმანვა არ შეიძლება, უჰაერობით ფუტკრები დაიხოცებთან) და პირდაპირ მზე არ უნდა შესჩერებოდეს, რომ სინათლეზე კარში არ გამოიტუოს ფუტკრები, რომლებიც, შეიძლება, სიცივის გამო ვეღარ შებრუნდნენ უკანვე და სრულებით გამოეთხოვონ სიცოცხლეს. გარდა საფრენი თვლისა, როგორცა ვსთქვით, ჯურჯუტანები უნდა გაილესონ გარედგან რიგიანი უბზარი მასალით, მაგალითად, აყალოს, ნაცრის და ახალი საქონლის (ძროხის) ნაკელის ნასერით: ეს ნივთიერება მშვენიერად იჩილება ერთად და არ სკდება.

ზამთარში ფუტკრები ჩუმად და მწინარად სხედან მშრალ ადგილას ფიჭებში თაფლის ახლოს, ნელ-ნელა სჭამენ თავის შენახულებას და რაც უფრო ცარიელება ფიჭები, ისე უფრო ზევით იზევენ. ისინი ამ

დროს ან სულ არ იღებენ ხმას, ან და ტეპილად ზუდიან; როდესაც სკაზე დაარაკუნებოთ, ხმაურობა მოისმის, მაგრამ მალე შესწყდება, ამ ისევ იმაზე დასდგება, როგორც ისმოდა. როდესაც სკაში სხეა და სხეანაირი ხმები მოისმის და დიდხანს აღარ დამ-შეიღდებიან, ის ნიშნავს, რომ სკა უდედოა; თუ უბრალო ფოთლის მსგავსი შრიალი ისმის, მაშინ თაფლი აკლიათ; თუ არაეითარი ხმა არ ისმის, გა-მოჭრილია სკა. მქიმე ჰაერისა და ცუდი საჭმლის გამო ფალარათი უჩნდებათ, სერიან სკას, ფიჭებს და გაზაფხულის პირზე ჰკედებიან ურიცხვი. განსაწმენ-დელი ნავარდობა ერთად-ერთი უებარი საშუალებაა ამ ავალმყოფობის წინააღმდეგ.

თუ გაზაფხულის პირზე სკაში სინოტი არ არის, ბუდეს ობი არ აქვს მოკიდებული და არ არის გასე-რილი ფუტკრის ნაკელით, აგრეთვე მკედრებიც ცო-ტაა, მაშინ სკა კარგადაა ნაზამთრი.






მეშა ფუტკარი.



ფეტკის დედო.




მონაგარი ანუ  
მამალი ფუტკარი.



ეს სურათი წარმოადგენს გადიდებულ ფიჭას, რომელზედაც სჩანს თან და თან მოზრდილი მაცლი, ანუ ბარტყი ფუტკრისა.




ეს სურათი წარმოგვიდგინს უმეტნაკლებოდ ბეჭებრივ სიგრცით სა-  
 უნებულ ფიჭას ანუ ბეტვს. ძირს, რყას მსგავსად, ჩამოშევრილია დედოს  
 გამოსატევი ბედე, რომელშიაც ჩერ ახალი დედო ჭის, არ გამოუქრია.  
 მის გვერდითა თავზამოსნილი სადეღლე, რომლიდან უკვე გამოსულა  
 ახალი დედო. გარდა მაცლებისა ფიჭაზე იხედება თავდათვრული ბუდეები.  
 სადაც ექვს-აუთოვანი სახე ფიჭას თვლების მოშლადი და წინ წამობე-  
 რილია, რეიდგან გამოვლენ მონაგრები; რომლებიც გა ისეა თავ-დახურული,  
 რომ ფიჭების სახე ისევ ცხადათ სჩანს, იქიდგან გამოიჩიებიან მეშა  
 უშტრები.



## დასაშლელი სკა.


ეს სურათი ცნადად გვაჩვენებს სკას თავის სახურავით, რომელშიც  
აწყვია რამოდენიმე ჩარჩო. ეს ჩარჩოები ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია  
ერთი ადგილიდან მეორეზედ გადავიტანოთ, ანუ ერთი სკადგან მეორე  
სკაში გადავიტანოთ, თუ რასაკვირველია, ისიც ამნაირადაა მოწყობილი.




ჩარჩო, რომელზედაც  
მიყრულია ნაშდგილი ფა-  
ჭის ნაჭერი.




ჩარჩო, რომელზედაც  
მიყრულია ხელოვნური ფა-  
ჭის ნაჭერი.




ცარიელი ჩარჩო.



როგორ უნდა დასდო  
ჩარჩო, როდესაც მასზედ  
აყრავ ფიჭას.




ეს სკა არის ლანგშტრინტის, ძალიან გავრცელებული ამერიკაში. ამ სკის  
ჩარჩოები უფრო განვითარა, ვინემ მაღალი. მეუკურე დადანმა მასზედ  
გამართა ინგლისის სისტემის ზედა ხარჯულები სათაფლე განკოფილებად,  
რაინაციის მას უწოდეს ინგლის-ამერიკული სკა.




### დაზიანების სეა.

ეს სურათი წარმოადგენს სეას გაზაფხულის პირველ ნახვაზედ. შეაფიქტებზე არის ბარტუები, მათ ახვევიან ფუტკრები; ფუტკრების გარშემო ჩედავთ თაფლით სავსე ფიჭებს, რომლებიც მათ იფარვენ სიცივისაგან. თაფლიანი ფიჭები, რაც უფრო ახლოა ფუტკრებზე, ისე უფრო დაცალიერებულია თაფლისაგან. ზურგისაკენ თაფლიან ფიჭებზე მიწყობილია ცარიელი ფიჭები, შემდეგ კი სელ ცარიელი აღავრა. ჩარჩოების თავზე დადებულია თივა, ანუ ბალიში, რომ ზევით სითბო არ ავიდეს.




### ლაიანსის სეგა.



ეს სურათი წარმოადგენს სკოს მდგომარეობას შემდევ ნახვისა. როგორც ნათქვამი გვაქვს, ჰეზის აშლა არ შეიძლება, თუ კუროსი არ გამობარა და ფუტკებს თორმეტი დღე მაინც არ უმუშავიათ. ჰედე ხელუხლებლად დარჩება; დარჩება, რასაკვირველია, ის თაფლაც, რაც ბედის ფიჭებშია. დანარჩენი თაფლიანი ფიჭები გადაიტანება სკოს ბოლოში. ჩაეწყობა ამ ნაირად: ზერ ჩაიდგმის ცარიელი ჩარჩო, მის შემდეგ ჩაიდგმის თაფლიანი ფიჭა, შემდეგ ისევ ცარიელი ჩარჩო და ასე ამ ნაირად გავა-  
გრძელებთ, სანამ თაფლიანი ფიჭები არ გამოგველევა.



როგორ აკერძნ ფიჭვებს ჩარჩოებში,  
როდესაც როვიდგან, ან კოდიდგან  
ასახლებენ უსტკერებს ჩარჩოან  
სკაში.



ხელოვნული ფიჭვის საკუ  
ოებები მანქანა.



ტკერები ფიჭვების ჩარჩოებში  
ჩასაკრავად. ამ ნაირი ტკერები  
შემთხვევისათვის წინადვე დამ-  
ზადებული უნდა იყონ.

სანთლის გასაღნობი ჭურჭელი,  
რომელსაც ხმარობენ ჩარჩოებზე  
ფიჭვების დაკვრის დროს.